№192
(12 262)
16 აგვისტო ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი

დღეს, 18:00. მიხეილ მესხი. უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. დინამო-რაპიდი. პირველი მატჩი

UEFA CUP

# მივიდეთ, ვნახოთ, დავამარცხოთ!

## ვენელები უკვე ვაკეში არიან. ვინ მოდის დინამოს საქომაგოდ?



გუშინ მიხეილ მესხის სტადიონზე. რაპიდის გულშემატკივრები თავიანთი გუნდის ვარჯიშზე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

"დინამო"-"რაპიდის" პირველი მატჩის წინა დღე ტრადიციულ ვითარებაში წარიმართა. ავსტრიული დელეგაცია თბილისში ნაშუადღევს ჩამოფრინდა, გუნდი "შერატონში" დაბინავდა, მისი 120 ქომაგი კი "ვარაზში". "რაპიდი" თბილისშიც შინაურულ ატმოსფეროში რომ არ აღმოჩნდეს, ქართველთა აქტიური ქომაგობაა საჭირო. საამისოდ "დინამოს" გულშემატკივრებმა რამდენიმე დღის წინ დაიჭირეს თადარიგი და იმედია, მათი თავგამოდება დღეს შედეგს გამოიღებს.

დაახლოებით ერთსაათიანი დასვენების შემდეგ "რაპიდმა" "მიხეილ მესხს" მიაშურა. პეტერ პაკულტის გუნდის ვარჯიშამდე დუშან უჰრინმა უპასუხა მედიელთა შეკითხვებს, "დინამო" მოედანზე ავსტრიელთა შემდეგ გავიდა. ორივე გუნდში საბრძოლო განწყობაა, მეტოქეებს ოპტიმიზმი არ აკლიათ და საფუძვლიანადაც - მასპინძელსაც და სტუმარსაც თავ-თავიანთი კოზირები აქვთ. ავსტრიელებს ინტერტოტოს მოგება არ აკმაყოფილებთ და უეფას თასის ჯგუფური ეტაპისკენ მიიწევენ, "ვადუცის" ძლევით დაკმაყოფილებას არც ჩვენები აპირებენ. საკითხავი ახლა ისღაა, უჰრინი მოიყვანს ჩანაფიქრს სისრულეში თუ პაკულტი. წესით და რიგით, ბრძოლა შინაარსიანი უნდა გამოვიდეს და ვაკეში მისულმა გულშემატკივრებმა არ უნდა ინანონ.

2








2

დუშან უჰრინი:

# დინამო მზადაა ძლიერ ევროპულ გუნდთან საბრძოლველად!

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# უპრინი: აქცენტი კარის შენახვაზე, მაგრამ რისკის და შეტევას



ხმალაძე, მერებაშვილი, გონჩაროვი შოთა კაშია და აკირემი გუშინდელ ვარჯიშზე



კახა კაჭარავა და დუშან უპრინი

პრესკონფერენციაზე "დინამოს" მთავარ მწვრთნელ **დუშან უპრინთან** ერთად, მისი ასისტენტი **კახა კაჭარავა** და გუნდის კაპიტანი **დავით დილმელაშვილი** მოვიდნენ. ყველაზე მეტი, ბუნებრივია, უპრინმა ისაუბრა.

- გუნდში საბრძოლო განწყობაა, ყველა ფეხბურთელი მატჩისთვის ასი პროცენტითაა მზად. ყველაფერს ვილონებთ საიმისოდ, რომ განმეორებითი მატჩის წინ სოლიდური ჰანდიკაპი შევიქმნათ.

**- "რაპიდთან" მატჩში "ვადუცთან" შეხვედრებისგან განსხვავებულ ტაქტიკას ხომ არ აირჩევთ?**

- ამას არ გამოვრიცხავ, რადგან ამ ორ გუნდს შორის საკმაო სხვაობაა. რამდენიმე ვარიანტი გვაქვს, რომელთა შესახებაც დეტალური საუბარი ახლა მიზანშეწონილი არაა.

**- როგორ ფიქრობთ, "რაპიდი" უფრო ძლიერია თუ წამყვანი ჩეხური კლუბები?**

- მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია, ჩეხური გუნდების თამაში აღარ მინახავს, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ავსტრიულ გუნდებზე უკეთესები არიან.

**- სანდრო იაშვილის სრულფასოვანი შეცვლა მოხერხდა?**

- სანდრო ჩვენთვის დიდი ძალა იყო, მაგრამ ამჟამადაც საკმაოდ კარგი თავდამსხმელები გვყავს. დანარჩენს დრო გვიჩვენებს, ვფიქრობ, წინა ხაზში პრობლემები არ უნდა შეგვექმნას.

**- "რაპიდთან" შემტევ ფეხბურთს ითამაშებთ თუ აქცენტს დაცვაზე გააკეთებთ?**

- ავსტრიული გუნდის ორი თამაში ვნახე და მასზე გარკვეული წარმოდგენა შევიქმენი. ყაზანის "რუბინთან" განმეორებით მატჩში "რაპიდმა" დაცვითი ფეხბურთი ითამაშა, რადგანაც შინ 3:1 ჰქონდა მოგებული. მიაღწია კიდეც სანადელს - რუსეთში ფრედ 0:0 ითამაშა და ინტერტოტოდან უეფაზე გადაინაცვლა. თბილისში კი მეტოქისგან მაინცდამაინც დაცვით ფეხბურთს არ უნდა ველოდოთ. "დინამოს" ტაქტიკას რაც შეეხება, ჩვენი მთავარი ამოცანა საკუთარი კარის მშრალად შენახვა იქნება, თუმცა ამავდროულად, გარკვეულ რისკზე წავალთ და ცხადია, შევუტევთ კიდეც.

**- წყვილის ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

- მცირე უპირატესობას "რაპიდს" მივანიჭებდი, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. დიდი იმედი მაქვს, რომ მეტოქეს საკუთარ თამაშს მოვახვევთ თავზე და საპასუხო მატჩის წინ კარგი შანსი გვექნება. მთავარი ისაა, რომ მოწინააღმდეგე კარგად გვყავს შესწავლილი.

**- მომწიფებულია "დინამო" საიმისოდ, რომ ძლიერ ევროპულ კლუბებს ტოლ-სწორად ებრძოლოს?**

- ყველაფერს მატჩი გამოაჩენს, ისე კი, მჯერა, რომ მომწიფებულია.

**- "დინამო" რომელიმე პოზიციაზე გაძლიერებას ხომ არ საჭიროებს?**

- ვნახოთ, რა გამოჩნდება ძლიერ გუნდებთან დაპირისპირებაში. ძლიერი ფეხბურთელები დავიმატეთ, დღესდღეობით, არა მგონია, რომელიმე რგოლში საგანგაშო მდგომარეობა გვქონდეს.

**- დობეში რატომ ამოვარდა ძირითადი შემადგენლობიდან?**

- ტრავმის გამო, მას რამდენიმე მატჩი გაუცდა, ამ დროს კი მის პოზიციაზე გურამ კაშიამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სავარაუდოდ, "რაპიდის" წინააღმდეგ მარცხენა მცველად სწორედ გურამი ითამაშებს.

**- რის ხარჯზე შეგვიძლია "რაპიდთან" წარმატების მიღწევა?**

- ჩემი აზრით, კარგია, პირველ შეხვედრას თბილისში რომ ვატარებთ. "რაპიდი" შინ ძლიერად თამაშობს და სანამ ამ კოზირს მეტოქე გამოიყენებდეს, ჩვენ უნდა შევძლოთ საკუთარ კედლებში შედეგიანი თამაშის ჩვენება.

დავით დილმელაშვილი:

- სეზონი კარგად დავიწყეთ, რუსთავის "ოლიმპს" ვძლიეთ და მჯერა, ჩვენი წარმატებული სერია "რაპიდთან" მატჩებშიც გაგრძელდება. "დინამო" უეფას თასის მეორე ეტაპისთვის ასი პროცენტითაა მზად. გუნდში შესანიშნავი განწყობაა და იმედი გვაქვს, ჩვენი მონდომებისა და გულშემატკივართა მხარდაჭერის წყალობით, "რაპიდს" დამაჯერებლად დავამარცხებთ.

"დინამომ" ვარჯიში სალამოს ექვსზე დაიწყო, წვრთნამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა და განსაკუთრებული და დეტალურად აღსაწერი არაფერი მომხდარა. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია, სავარაუდოდ, უპრინმა სასტარტო შემადგენლობაში რადიკალური კორექტივები არ უნდა შეიტანოს. დიდია იმის ალბათობა, რომ ჩეხმა სპეციალისტმა ავსტრიელებს ზუსტად ის თერთმეტეული დაუპირისპიროს, რომელსაც "ოლიმპთან" მატჩში ენდო:

**ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია - ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, დილმელაშვილი - აკირემი.**

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ "დინამო"-"რაპიდი" დღეს 18 საათზე დაიწყება, მატჩის პირდაპირ ტელეტრანსლაციას ტელეკომპანია "იმედი" აწარმოებს. შეხვედრას პოლონელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის. არბიტრი **ტომაშ მიკულსკი** იქნება, რომელსაც **პიოტრ სადჩუკი** და **რადოსლავ სიელკა** დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯად **მარეკ მიკოლაიევსკია** დანიშნული, უეფას დელეგატი ბელარუსი **იური დუპანოვია**. თამაშზე დასასწრები ბილეთები 3 და 5 ლარი ღირს.

მეტოქე

# ავსტრიელებმა მოიბოდიშესავით



რაპიდს ვარჯიშს ვენელი გულშემატკივრებიც დაესწრნენ



ნუგზარ სუარიძის ფოტოები

"რაპიდის" ვარჯიში "მიხეილ მესხზე" **დუშან უპრინის** პრესკონფერენციის შემდეგ, ექვსის წუთებზე დაიწყო. **პეტერ პაკულტის** შეგირდები თავიდანვე ენერგიულად ამოძრავდნენ, მაგრამ მოედანზე საინტერესო ბევრი არაფერი ხდებოდა და ქართველ მედიელთა მთელმა ყურადღებამ დასავლეთი ტრიბუნისკენ გადაინაცვლა, სადაც 120 ავსტრიელი ფანი სიმღერებითა და ენერგიული შეძახილებით ამხნევებდა საყვარელ გუნდს.

უკვე მერამდენედ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ ქართული საგულშემატკივრო კულტურა ევროპულს გვარიანად ჩამორჩება. ვენელებმა აქტიურობა ვარჯიშზე არ დაიზარეს და ბუნებრივია, მატჩზე გაორმაგებული ენერგიით დაიხარჯებიან. "დინამოს" ათიოდე ქომაგი კი ცდილობდა ავსტრიელთა ხმის გადაფარვას, მაგრამ რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ. აგვისტოში ქალაქი დაცარიელებულია, მაგრამ ეგებ სტადიონი სანახევროდ მაინც შეივსოს და საკუთარი გუნდის მხარდაჭერაში სტუმრებს დღეს მაინც ვაჯობოთ. ოღონდ იმედია, არა ისე, როგორც "ბელხატოვის" ფანებს ვაჯობეთ.

სანამ "რაპიდი" ვარჯიშობდა, ავსტრიელ კოლეგას გამოველაპარაკე და თუკი მას ვენდობით, ხვალ მეტოქემ ასეთი შემადგენლობით უნდა ითამაშოს:

**პაიერი - ჰიდენი, ტოკიჩი, პატოჩკა, კატცერი - ჰოფმანი, ჰაიკინენი, ბოშკოვიჩი, კავლაკი - ბაჟინა, ბილიჩი.**

"რაპიდის" წვრთნა ტრადიციული სცენარით წარიმართა, მოთელვებით დაიწყო და ნახევარ მოედანზე გაჩაღებული ორმხრივი თამაშით დასრულდა. მანამდე ვენური კლუბის პრესატაშე, **შარიფ შუქრიმ** "რაპიდის" საიტზე განთავსებული სტატიის შესახებ გააკეთა კომენტარი. საქმე ისაა, რომ ავსტრიელ ჟურნალისტს ქართულ ფეხბურთში გამეფებულ კორუფციაზე გაუმახვილებია ყურადღება (კაცმა რომ თქვას, მთლად ტყულიც არ დაუწერია). შუქრის თქმით, "რაპიდი" ამ ფაქტის გამო წუხს და აცხადებს, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეეფერება.

დაახლოებით იგივე გაიმეორა "რაპიდის" პრეზიდენტმა **რუდოლფ ედლინგერმა**. *"ვწუხვარ, ასე რომ მოხდა, ეს სტატია ჩვენი კლუბის საიტიდან უკვე ამოღებულია"*. შემდეგ კი ქალაქი შეგვიქო: *"ბევრის ნახვა ვერ მოვასწარი, მაგრამ ერთი შეხედვით, თბილისი ულამაზესი ქალაქია. ხვალ ექსკურსია გვაქვს დაგეგმილი და ამ ისტორიულ ქალაქს გულდასმით დავათვალიერებ. თამაშს რაც შეეხება, დიდი იმედი მაქვს, რომ ლამაზ და დაძაბულ ბრძოლას ვიხილავთ, შედეგს კი ქართველები და ავსტრიელები განსხვავებულს ველით (იცინის). მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს 50/50-ზე შევაფასებდი"*, - განაცხადა ედლინგერმა.

ამასობაში, ვარჯიშიც დასრულდა და რამდენიმე წუთი "რაპიდის" დამრიგებელმა **პეტერ პაკულტმაც** დაგვითმო. ჩვენთვის ეს არ უთქვამს, მაგრამ მანამდე, ავსტრიელ ჟურნალისტთან საუბარში დაიწუწუნა, თბილისში ძალიან ცხელა და ცუდია, თამაში ექვსზე რომ იწყებაო.

*"საქმე ძლიერ მეტოქესთან გვაქვს, "დინამო" მდიდარი ტრადიციების მქონე კლუბია და დღესდღეობითაც კარგ ფეხბურთს თამაშობს. თუმცა "რაპიდიც" რიგიან ფორმაშია. ინტერტოტოს თასზე ძლიერ გუნდებს ვძლიეთ და უეფაზეც მაქსიმალურად შორს გვსურს წასვლა. ქართულ ფეხბურთზე საკმაოდ ბევრი ვიცი, მახსოვს, რომ ამინდს საბჭოურ და ევროპულ ფეხბურთშიც ქმნიდით. თანამედროვე ქართველ ფეხბურთელებსაც ვიცნობ, კობიაშვილმა და იაშვილმა გერმანიაში ბევრს მიაღწიეს, კლაუს ტოპმიოლერთან კი ძველი ნაცნობობა მაკავშირებს"*, - გვითხრა პაკულტმა.

მოკლედ, ასეთი იყო გუშინდელი საღამო "ლოკომოტივზე". "დინამო" სეზონის ერთ-ერთ უპრინციპულეს მატჩს ატარებს და იმედია, "ვადუცი" მისი მიერ ევროასპარეზზე ძლეული ერთადერთი გუნდი არ იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველოს ნაკრები. U 19. ამხანაგური მატჩი

# ჰაინცი კმაყოფილია და ჭაბუკებს აფრთხილებს:
# ნუ აფრინდებით ცაში

**საქართველო-აზერბაიჯანი**

**3:1**

15.08. თბილისი. ამერი
500 მაყურებელი

1:0 შონია (5), 2:0 ფანცხავა (9), 2:1 ჯავადოვი (35), 3:1 ლვინიაშვილი (68)

საქართველო: მაკარიძე (46. დგებუაძე), ლვინიაშვილი, ქჯრივიშვილი, გაბუნია, ცუცქირიძე (68. კვანტალიანი), შონია, თარგამაძე (27. ბეგლარიშვილი), მაისურაძე, ჯოხაძე (46. ვაჩაბერიძე), ყენია (83. წულაძე), ფანცხავა (41. ხოკერაშვილი)

*სათადარიგო: ჩარგეიშვილი*

აზერბაიჯანი: ომაროვი (77. სუდიგოვი), გაბრაილოვი (75. ვახაბზადე), ნარიმანოვი, მამადოვი, რაბიმოვი, მედვედიევი, ჯავადოვი, ჰაჯიევი, ალიევი, ჯულიევი, სოლთანოვი

*სათადარიგოები: კარიმოვი, მუსტაფაევი, ჰაქვარდიევი, ახმედოვი*

გაფრთხილება: მედვედიევი (4), ნარიმანოვი (67), ყენია (83), ომაროვი (83)

გაძევება: მედვედიევი (16)

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი



ნუგზარ სუარიძის ფოტო

ოქტომბერში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროშესარჩევის პირველ რაუნდს ითამაშებს. ჯგუფში ჩვენების მეტოქეები ჰოლანდია, ნორვეგია და ლატვია არიან. მატჩები თბილისში გაიმართება და ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი გაისად გაზაფხულზე შესარჩევის მეორე ეტაპზე ითამაშებს.

მანამდე კი **ჰაინც ტომპიოლერი** სელექციას აწარმოებს და ცოტა ხნის წინათ რეგიონებიც მოიარა. მისი ვოიაჟის შედეგი ის გახლავთ, რომ მან გუნდში **ჯემალ გაბუნია** აიყვანა ქუთაისის "ტორპედოდან" და გუშინ ათამაშა კიდეც.

დამდეგი შესარჩევისთვის 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშის უფლება 1989 წელს დაბადებულებს და მათზე უმცროსებს აქვთ. გუშინ საქართველოს ნაკრებში 1990 წელს დაბადებულზე უმცროსი არავინ იყო, ხოლო აზერბაიჯანელებს მეტწილად 1989 წელს დაბადებული ჯეელები ჰყავდათ.

...35-ე სკოლის აღზრდილი **თარგამაძე** ჩაუქი ბიჭი რომ არის, რა ხანია "ფრაიბურგმაც" იცის და მის აყვანას ეშურება. საამისოდ თარგამაძე ვიზას ელის, გუშინ კი ხელი მოიტეხა - უხერხულად დაეცა და არ გაუმართლა. მანამდე კი ის მართლაც საუკეთესო იყო მოედანზე - ჰაინც ტოპმიოლერმა ის მარცხენა ნახევარმცველად გაამწესა და ქართველთა შეტევებიც მეტწილად მარცხნიდან ხერხდებოდა.

...თარგამაძემ ჯარიმა ჩააწოდა, **თემურ შონიამ** კარში დაარტყა, მეკარემ მოიგერია და დამატებაზე იმავე შონიამ იმარჯვა - 1:0. ოთხ წუთში ისევ თარგამაძემ ჩააწოდა ჯარიმა, მეტოქის საჯარიმოში **ვახტანგ ფანცხავამ** იყოჩაღა და 2:0.

აზერბაიჯანელი 19-წლამდელები მალე მთლად უშანსოდ დარჩნენ. **ლევან ყენიასთან** უხეშობისთვის სტუმრებს **მაქსიმ მედვედიევი** გაუძევეს.

ქართველებს ყოველივე ამან თავდაჯერებულობა შემატა, თუმცა ერთ ეპიზოდში ეს მოდუნებაში გადაიზარდა და აზერბაიჯანელებმა ერთი ბურთი გაქვითეს.

შესვენებამდე მასპინძლებს კიდევ ორჯერ შეეძლოთ გატანა - ფანცხავამ ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან ვერაფერი გამოადნო, ყენიას დაქუხებული კი მეკარემ მოიგერია.

მეორე ტაიმში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა - ბურთს მეტწილად ჩვენი ჭაბუკები ფლობდნენ, სტუმრებს კი ეტყობოდათ, რომ თამაშის შემობრუნების შნო არ გააჩნდათ.

ორჯერ უპირატესობის გაზრდის კარგი შანსი ჰქონდა **მიხეილ ხოკერაშვილს** - ჯერ მეკარემ უკუაგდო მისი დარტყმული, მერე კი ოდნავ ააცილა მეტოქის კარს. საერთო ჯამში ხოკერაშვილმა ცენტრფორვარდისთვის საჭირო კარგი თვისებებით დაგვამახსოვრა თავი.

მესამე გოლი კი ჩვენებმა ასე გაიტანეს - ყენიას ჩაწოდებულს **რევაზ ლვინიაშვილმა** უნაკლოდ შეაგება თავური.

ხვალ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ერთხელაც გაეჯიბრება ამხანაგურად აზერბაიჯანელებს. გუშინდელი მატჩის დასრულების შემდეგ კი ჰაინც ტოპმიოლერს გავესაუბრეთ.

- ბევრი ახალი ფეხბურთელი გამოვცადეთ, ძირითადი ბირთვიდან ბევრმა პირველად ითამაშა ნაკრებში და საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ.

**- ეს მატჩი ერთ-ერთი ეტაპი იყო შესარჩევი ციკლისთვის მზადებაში - გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი?**

- გვაკლდა ხუთი ფეხბურთელი "ზესტაფონიდან", ტრავმირებული ლევან მჭედლიძე "ემპოლიდან" და ლევან ბლაგიძე "გიმარაეშიდან". გვსურს გიორგი ივანიშვილის ნაკრებში ნახვაც, ვინც "ციურიხის" ფეხბურთელია. 30-32 ფეხბურთელი გვყავს თვალთახედვის არეში და მათზე სრულ ინფორმაციას ვფლობთ. ახალგაზრდებთან მუშაობა ძალიან სპეციფიკურია და დიდი მადლობა უნდა გითხრათ ჟურნალისტებს - მასმედია გვეხმარება, რომ ჭაბუკები მიწაზე მყარად იდგნენ და საკუთარ თავზე ეიფორიული წარმოდგენა არ ჰქონდეთ.

**- მასმედია უკვე აქებს ლევან ყენიას და მან ეს ალბათ მართლაც დაიმსახურა...**

- ყენიაზე ერთს ვიტყვი - თუ საკუთარ თავზე ბევრს იმუშავებს, დიდი ფეხბურთელი გახდება. ყენიასაც ველაპარაკები იმაზე, რომ ქება თავში არ აუვარდეს, მჯერა, ის ყველაფერს სწორად აღიქვამს.

**დავით თავართქილაძე**

მგლები

# ახალი სტადიონი ზუგდიდში

გუშინ ზუგდიდში სტადიონი გაიხსნა. ზუგდიდის "მგლები" წინა სეზონში პირველ ლიგაში რომ გამოდიოდა და უმაღლესის საგზური მოიპოვა, საშინაო მატჩებს ზუგდიდთან ახლოს, კახათში მართავდა, ახლა კი მეტოქეებს ზუგდიდში დაუხვდება.

ზუგდიდის სტადიონს ნაწილობრივი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. მოედანს დრენაჟი გაუკეთდა, დამონტაჟდა 4 200 ინდივიდუალური სკამი თავისი გადახურვით. მოწესრიგდა საშხაპეები და გასახდელები. ყოველივე ეს ზუგდიდის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა "ბაიას" პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** თაოსნობით მოხერხდა. სტადიონი ჯერ კიდევ არაა ბოლომდე დასრულებული, ამას კიდევ დასჭირდება გარკვეული დრო, თუმცა როცა საბოლოო სახეს მიიღებს, ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

გუშინვე ზუგდიდში სტადიონის გახსნასთან დაკავშირებით კონცერტიც გაიმართა და ამ ღონისძიებასაც რუსეთში მოსაქმე ბიზნესმენი სიჭინავა გასწვდა. ზეიმზე ხელისუფლების ცნობილი სახეებიც ჩავიდნენ - **მიხეილ მაჭავარიანი, დავით კირკიტაძე...**

ლეგიონერი

# შოთას კონკურენტი: ლევანტემ იტალიელი ფორვარდი იყიდა

"ლევანტემ" იტალიელი თავდამსხმელი **კრისტიან რიგანო** იყიდა. 33 წლის რიგანო "მესინის" ღირსებას იცავდა. მას შემდეგ, რაც ეს კლუბი სერია B-ში გავარდა, ვეტერანმა ფორვარდმა "ლივორნოს" წინადადება მიიღო, მაგრამ ბოლოს მაინც ესპანეთში ამოყო თავი. გასულ სეზონში რიგანომ 19 გოლი გაიტანა. "მესინამდე" ის "ფიორენტინაში" თამაშობდა.

როგორც ჩანს, "ლევანტეს" მწვრთნელ **აბელ რესინოს** გამოცდილი ფორვარდი **შოთა არველაძის** შემცვლელად სჭირდება. მოგეხსენებათ, შოთამ ოპერაცია გაიკეთა და მოედანს მხოლოდ ოქტომბერში დაუბრუნდება. თუ რიგანომ მანამდე თავი გამოიჩინა, არველაძეს ძირითადში მოსახვედრად სერიოზული ბრძოლა მოუწევს. იტალიელები კი იმაზე წუხან, რომ ამ ზაფხულს აპენინებიდან უპრეცედენტოდ ბევრმა ფეხბურთელმა მიაშურა სხვადასხვა ქვეყანას. მარტო "ლევანტეში", რიგანოს მისვლამდე, სამი იტალიელი - **სტორარი, ჩირილო და ტომაზი** ირიცხებოდა.



შოთას კონკურენტი კრისტიან რიგანო

# მაყურებელს ფეხბურთი, კლუბებს ფული

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში ფედერაციისა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელები კლუბების წარმომადგენლებს შეხვდნენ. პროფლიგის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ ლიგის პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი** და გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი**, ფედერაციას კი ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** და გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** წარმოადგენდნენ. მესამე მხარეს იყო 12 კლუბის - მათ შორის რამდენიმე პირველლიგელის - მესვეური. ყველაზე საინტერესო სტუმარი სამხრეთი ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **დიმიტრი სანაკოევი** იყო. სწორედ მისის თხოვნით შეიყვანეს ცხინვალის "სპარტაკი" პროფლიგაში.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ დღეს სასტუმრო "მარიოტში" ხელი მოეწერება სამმხრივ მემორანდუმს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, პროფლიგასა და მედიაკომპანია "კოლხიდას" შორის. ახლა კი იმაზე, თუ რას ითვალისწინებს ეს მემორანდუმი: ტურის 7 მატჩიდან გამოიყოფა ცენტრალური და განხორციელდება მისი პირდაპირი რეპორტაჟი სავარაუდოდ საზოგადოებრივი მაუწყებლით. აღსანიშნავია, რომ გადაღება უახლესი ტექნიკით და კამერების რაოდენობაც იმდენი იქნება, რამდენიც საჭიროა, ანუ პროდუქცია უმაღლესი ხარისხის იქნება. საამისოდ უცხოელი სპეციალისტების მოწვევაც კია ნავარაუდევი. ასევე მოხდება დანარჩენი მატჩების გადაღებაც და კვირის ბოლოს გულშემატკივარი იხილავს საფეხბურთო მიმოხილვას. ამასთან "კოლხიდას" მიერ გადახდილი თანხა კლუბებს მოხმარდება. მართალია, ეს არც თუ დიდი თანხაა, მაგრამ მთავარია, რომ საქმე დაიძრა.

პირველი რეპორტაჟი "კოლხიდას" ხვალ ექნება გლდანიდან, სადაც "ამერი" გორის "დილას" დაუპირისპირდება, თუმცა ეს იქნება ასე ვთქვათ ჩვეულებრივი რეპორტაჟი, საქმის სრულყოფას დაახლოებით ორი თვე დასჭირდება.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# ჩვენ ერთი გუნდი ვართ უგუნდოების

## რევაზ ქემოკლიძე გულგატეხილია

რევაზ ქემოკლიძეს თბილისის "დინამოსთან" კონტრაქტის დამთავრების შემდეგ, ახალი გუნდის მონახვის დიდი იმედი ჰქონდა. არც ისე უსაფუძვლოდ. საქართველოს ნაკრებში ნათამაშევი მცველი, თავის პოზიციაზე ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ და რაც მთავარია, ახლა თავისუფალი აგენტი გახდა. ახალი ხელშეკრულების გაფორმება არც მას სურდა და დარჩენა კლუბსაც არ შეუთავაზებია.

სამწუხაროდ, მან "დინამოში" თავი ვერ გამოიჩინა, სამწლიანი კონტრაქტის პერიოდში შემადგენლობაში მხოლოდ ერთი სეზონი ხვდებოდა. მერე კი სათადარიგოებში მოხვდა, ბოლო ნახევარი სეზონი ითამაშა საჩხერის "ჩიხურაში", დანარჩენი დრო გაუცდა.

არც ისე წვიმს, როგორც ქუხს - ამ შემთხვევას ეს სიტყვები შეეფერება. გუშინ რეზოს ვესაუბრეთ და სხვაგვარი ამბავი შევიტყვეთ.

**- რეზო, ხმები გავრცელდა, თითქოს ფეხბურთიდან წახვედი და დავიჯეროთ?**

- არა, ვინ გითხრათ? თუმცა ისეთ დღეში ჩავვარდი, ფაქტობრივად, მართლა წასული გამოვდივარ. ეტყობა, ბევრს უნდა, რომ თამაშს თავი დავანებო, მაგრამ არ დავანებებ. ბევრი არაკაცია, რომელსაც ნორმალურ ადამიანთან მუშაობა უჭირს. სამწუხაროდ, დავრჩი ჰაერში გამოკიდებული. არადა, თავისუფალი აგენტი გავხდი და ვიფიქრე, ახლა მეშველა-მეთქი, სახელით მაინც გამიხსენებდნენ, მაგრამ არაფერი მსგავსი.

**- ვარჯიშით მაინც თუ ცდილობ ფორმის შენარჩუნებას?**

- სად ვვარჯიშობ, სეზონი დაიწყო და უგუნდოდ დავრჩი.

**- ეტყობა, უცხოეთში წასვლითაც ტყუილად გაიმედებდნენ, გერმანიაზე, კვიპროსსა და, აზერბაიჯანზე საუბრები სულ ტყუილი აღმოჩნდა...**

- იყო ვარიანტი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სახლში ვზივარ და მომავალი გაურკვეველია. ან ვითამაშებ კი?

**- ლამის ორი წელიწადია, რაც საქმეები აგერია.**

- იმედით ვცოცხლობ. ჰგონიათ, რომ უთამაშებელი ვისვენებდი. არადა, ერთი დღეც არ ჩამიგდია და ასეთი მონდომებული არასდროს ვყოფილვარ. ველოდები რაღაც წინადადებას და იქნებ, მანამდე სამი თვე რომელიმე გუნდში ვითამაშო. ასე გაძლება აღარ შემიძლია.

**- ასეთ იგნორირებას ელოდი?**

- ნაღდად არ ველოდი. ისეთებმა მიგანეს, ვერც წარმოვიდგენდი. რა იგნორირებაზეა საუბარი, როცა წინადადებებით შეწუხებული ვიყავი. რას მერჩიან, ვერ გავიგე, რეჟიმის დამრღვევი ვარ, ნარკომანი, ზარმაცი თუ რას მიწუნებენ? ამაზე მწყდება გული.

...ქემოკლიძე არაა გამონაკლისი. დღეს უგუნდოდ არიან მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი**, ნახევარმცველები **ვიტალი დარასელია, არჩილ სახვაძე**, მოსკოვის "ტორპედოდან" წამოსული **ბექა ჟღენტი, თემურ ბურნაძე, გიორი კვიტაიშვილი**, თავდამსხმელი **მიხეილ ბობოხიძე**...

კიდევ რამდენის უგუნდობა არ ვიცით, ესეც ცალკე თემაა. თითოეული მათგანი ნებისმიერ ჩვენ კლუბს გააძლიერებდა. მით უფრო, როდესაც ჩემპიონატში კვალიფიციური მოთამაშეების აშკარა დეფიციტია.

**მერაბ მამულაშვილი**



რევაზ ქემოკლიძე

### ეროვნული ნაკრების ფანკლუბის განცხადება

25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ეროვნული ნაკრების ფანკლუბისა და ეროვნული სტადიონის დირექციის ინიციატივით, 12 წლამდე ბავშვთა შორის street soccer-ის ტურნირი გაიმართება. თამაშები ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე, სპეციალურად მოწყობილ მოედანზე ჩატარდება. მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები ელექტრონული ფოსტის მისამართზე fanclub@fanclub.ge გამოგვიგზავნეთ ან დაგვირეკეთ 542 542, 877766770, 893317772. განაცხადები 23 აგვისტომდე მიიღება.



დავით მუჯირი

ლეგიონერები

# ტარხანოვმა მუჯირს კაპიტნობა დაუბრუნა

დავით მუჯირისა და სამარის "კრილია სოვეტოვის" ტანჯვა-წვალება დასრულდა. მთავარი მწვრთნელის პოსტზე, **სერგეი ობორინის** ნაცვლად, რომელმაც გუნდი განხეთქილებამდე მიიყვანა, **ალექსანდრ ტარხანოვი** დანიშნეს.

დანიშვნა ერთია, მაგრამ რუსულ მედიაში გავრცელდა ხმები, თითქოს მუჯირს "კრილიას" ყოფილი მწვრთნელი და ამჟამად რამენსკოეს "სატურნის" დამრიგებელი **გაჯი გაჯიევი** თავისთან იწვევდა. ვერსიას აძლიერებდა "სატურნში" სამარელთა იმედის, **მახაჩ გაჯიევის** გადასვლა, გაჯიევი და მუჯირი ობორინმა სამიზნეში ამოიღო და აითვალწუნა.

"კრილიას" პრეზიდენტს **ალექსანდრ ბარანოვსკის** "სოვეტსკი სპორტის" ჟურნალისტმა ჰკითხა კიდეც, შეეფერებოდა თუ არა გავრცელებული ხმები სიმართლეს. შეგახსენებთ, რომ ასეთი ინფორმაცია ერთი კვირის წინათ "ლელომ" დაბეჭდა და თავად მუჯირსაც ვკითხეთ. მან ასეთი შესაძლებლობა გაჯიევის "კრილიასთან" დაძაბული ერთიერთობის გამო გამორიცხა.

მახაჩ გაჯიევის გადასვლის შემდეგ ხომ არ შეიცვალა ვითარება? ბარანოვსკის პასუხიდან ირკვევა, რომ ქართველი ლეგიონერის გაშვება "კრილიას" თავკაცს აზრადაც არ მოსვლია: *"ტარხანოვმა გარკვევით თქვა, რომ ყველა მოთამაშეს დაეყრდნობა, ვინც დახვდა. მათ შორის არიან მუჯირი და ტოპჩი. მით უფრო, რომ ჩვენ ჯერ ახალი მოთამაშეების შეძენას არ ვაპირებთ."*

ბარანოვსკის ამ განცხადების შემდეგ, ტარხანოვს სამარულმა "კომსომოლსკაია პრავდამ" ჩამოართვა ინტერვიუ და გაირკვა, რომ ქართველი ლეგიონერი კაპიტნის სამკლავურს ისევ მოირგებს: *"მეორე წრეში "კრილიას" ჩავარდნა ფსიქოლოგიის სფეროში უნდა ვეძებოთ. შესაძლოა, სერგეი ობორინმა მოთამაშეებთან ურთიერთობაში შეცდომა დაუშვა. გუნდში არაჯანსაღი მიკროკლიმატი იყო. იოლი არ იქნებოდა, მუჯირისთვის კაპიტნობიდან გადადგომა. "კრილიაში" ცვლილებები განხორციელდება, ეს უპირველესად, სტილს შეეხება. განსაკუთრებულ ყურადღებას ნახევარდაცვას მივაქცევ, რადგან ესაა თამაშის საფუძველი. აქცენტს გავაკეთებ მუჯირზე, ესკობარზე, ბობიორსა და კალეშინზე. მოვითხოვ, რომ მეტი აზრიანი გადაცემა გააკეთონ. შეიცვლება კაპიტანიც და სამკლავურს დათო მუჯირს დავუბრუნებ. "კრილიაში" ორ ადამიანს გააჩნია კაპიტნისთვის აუცილებელი თვისება, ესენი არიან ბუტი და მუჯირი. თუმცა კაპიტანი მუჯირი იქნება, რადგან ის გუნდის ნამდვილი ლიდერია. ანტონ ბობიორი ამ როლს არ შეესაბამება, მაგრამ ძალიან კარგი ადამიანია. კაპიტნობისთვის ოდნავ მეტი თავდაჯერებულობა და ცოტაოდენი სითავხედეც საჭიროა."*

**მერაბ მამულაშვილი**

# ასათიანი სიმბოლურშია

რუსული ინტერნეტ-გაზეთი "ჩემპიონატი" ყოველი ტურის შემდეგ სიმბოლური ნაკრების შედგენას ცნობილ სპეციალისტს **ალექსანდრ ტარხანოვს** ანდობს. მართალია, ტარხანოვმა სამარის "კრილია სოვეტოვი" ჩაიბარა, მაგრამ ინტერნეტ-გაზეთთან მაინც თანამშრომლობს. რუსეთის პრემიერლიგის მეოცე ტურის მისეულ სიმბოლურ გუნდში მოსკოვის "ლოკომოტივის" ქართველი მცველი **მალხაზ ასათიანიც** მოხვდა.

*"ასათიანმა დამაჯერებლად და საიმედოდ ითამაშა, სერიოზული შეცდომები არ დაუშვია"*, - ასე ახსნა არჩევანი ტარხანოვმა. ასათიანმა ეს პატივი ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშით დაიმსახურა. "ლოკომოტივმა" მეოცე ტურში სახლში ნალჩიკის "სპარტაკს" 3:1 მოუგო.

ყველაზე სასაცილო კი ისაა, რომ გაზეთმა "სოვეტსკი სპორტმა" ამ მატჩის შემდეგ "ლოკომოტივის" მცველებში ყველაზე ცუდი შეფასება ქართველ ლეგიონერს დაუწერა. ვისი აზრი უფრო წონადია, ტარხანოვისა თუ გაზეთის, ეს თავად განსაჯეთ.

**მერაბ მამულაშვილი**



მალხაზ ასათიანი

ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური

# ჩელსი ისევ იგებს, მენიუ ისევ კარგავს

"მანჩესტერ იუნაიტედმა" მეორე მატჩიც ფრედ დაასრულა და "ჩელსის" უკვე ოთხი ქულით ჩამორჩება. "ეშმაკები" მე-15 წუთზე დაწინაურდნენ. **პოლ სქოულზმა** 25 იარდიდან გაიტანა. საგოლე პასი **კარლოს ტევესის** ანგარიშზეა. "პორტსმუთმა" მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა: **ბენჯამინ მვარუვარიმ** თავით შეაგდო. მეტოქეებმა მატჩი 10-10 კაცით დაასრულეს. **სალი მუნტარიმ** მეორე ყვითელი ბარათი **მაიკლ ქერიკის** მოცელვისათვის დაიმსახურა. **კრისტიანო რონალდო** კი რიჩარდ ჰიუზთან ჩხუბის გამო გააძევეს.

მიმომხილველთა ყურადღება ტევესისკენ იყო მიპყრობილი. **უეინ რუნის** ტრავმამ არგენტინელს ძირითადი შემადგენლობისაკენ გაუხსნა გზა. თამაში ხისტი ბრძოლით დაიწყო. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. მაგრამ როგორც კი "იუნაიტედმა" უპირატესობა მოიპოვა, ტევესმაც გაიბრწყინა. 23 წლის ფორვარდმა ბურთი ბარძაყით მინდვრის კიდეზე გააჩერა და სქოულზს გამოზომილი პასი გაუკეთა. პოლს ბევრი არ უფიქრია და **დევიდ ჯეიმსი** ძლიერი დარტყმით დაამწუხრა.

შესვენების შემდეგ "მანჩესტერს" მეორედ უნდა გაეტანა. **ნანიმ** რვა იარდიდან დაბალ კუთხეში დასცხო. ჯეიმსმა ბურთი ფეხით მოიგერია, ტევესმა დაამატა, მაგრამ ხარიხას გადააცილა. **ჰარი რედნაპმა** ორი ფეხბურთელი შეცვალა. მან **მეტიუ ტეილორი** და **ჯიმი ტრაორე** გამოიყვანა. რამდენიმე წუთში ტეილორმა მარჯვენა ფლანგიდან "იუნაიტედის" საჯარიმოში ჩააწოდა. მვარუვარიმ ყველას დაასწრო და **ედვინ ვან დერ სარს** შანსი არ დაუტოვა.

"იუნაიტედს" ქულების განიავება არ აწყობდა. მან ძალა მოიკრიბა და შეუტია. **რაიან გიგზსა** და **კრისტიანო რონალდოს** კარგი მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ჯეიმსმა საიმედოდ ითამაშა. ერთი მომენტი მანჩესტერელთა კართანაც შეიქმნა. **რიო ფერდინანდი** და **ნემანია ვიდიჩი** მეტოქის თავდამსხმელებს გასაქანს არ აძლევდნენ. **დევიდ ნაჯენტმა** მაინც მოახერხა მეკარესთან პირისპირ გასვლა, მაგრამ სანამ ფეხს მოიქნევდა, მოცურდა. მატჩი ორი გაძევებით დასრულდა, თუმცა ამის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ...

"ჩელსიმ" "რედინგს" სამ წუთში ორი გოლი გაუტანა. "არისტოკრატებმა" ორ მატჩში მაქსიმუმს, ექვს ქულას მოუყარეს თავი. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. 29-ე წუთზე **პეტრ ჩეხი** უხეშად შეცდა. მან ბურთი ვერ მოიგერია. ამით უმალ ისარგებლა **ანდრე ბიკიმ**, რომელიც მინდორზე ერთი წუთის შესული იყო. გასულ სეზონში "მადეისკიზე" პეტრმა უმძიმესი ტრავმა მიიღო. ის სიკვდილს გადაურჩა. ეტყობა, იმ დღის კოშმარებმა აუბნია თავგზა. მაგრამ "ჩელსი" მარტო ჩეხი არ არის. **ფრენკ ლემპარდმა** და **დიდიე დროგბამ** მეტოქეს თავისი ადგილი მიუჩინეს. "რედინგმა" თამაში 10 კაცით დაასრულა. წითელი ბარათი **კალიფა სისეს** აუფრიალეს.

კვირას, რედინგელთა თავკაცმა **სტივ კოპელმა სერ ალექს ფერგიუსონს** ტაქტიკური ბრძოლა მოუგო. გუშინდელი მატჩის პირველ ტაიმში კოპელმა **ჟოზე მოურინიოსაც** აჯობა. "ჩელსის" სამოქმედოდ არც დრო ჰქონდა და არც სივრცე. რედინგელებმა გოლიც დამსახურებულად გაიტანეს, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, გოლი სანახევროდ ჩეხის გაკეთებული იყო. **ინგიმარსონის** თავურისას მან ელემენტარული შეცდომა დაუშვა. სანამ "ჩელსის" მცველები გონს მოეგებოდნენ, ბიკიმ ბურთს ფეხი მიჰკრა და ცარიელ კარში შეაგორა. რამდენიმე წუთში ლონდონელები მეორე გოლი გადაურჩნენ: **ჯონ ოსტერმა** ძელი შეაზანზარა.

მეორე ტაიმში სურათი კარდინალურად შეიცვალა. მოურინიომ **ჯონ ობი მიკელი** და **კლაუდიო პისარო** გამოიყვანა. სტუმრები გააქტიურდნენ და ანგარიშიც გათანაბრდა: ლემპარდმა თავისუფალი სივრცე დაინახა, საჯარიმოში შეიჭრა და გაიტანა. სამი წუთში მასპინძლები მეორედ დაამწუხრეს: დროგბამ შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით მიაღწია მიზანს. იმასაც გეტყვით, რომ პირველ ნახევარში **რიკარდო კარვალიო** დაშავდა და სასწრაფოდ შეცვალეს...

ტურის ერთი მატჩი სამშაბათს გაიმართა. "ტოტენჰემმა" ზედიზედ მეორე თამაში წააგო. "ევერტონმა" კი ორ მატჩში ქულათა მაქსიმუმს მოუყარა თავი და ცხრილს სათავეში ჩაუდგა. "მამლების" 80 მილიონ დოლარად შეფასებული თავდასხმა ისევ უსუსურად გაისარჯა. ლივერპულელებმა ანგარიში მე-3 წუთზე გახსნეს. **პოლ სტალტერმა** საჯარიმოს მისადგომებთან **მიკელ არტეტა** წააქცია. არტეტამ ბურთი კარის სიახლოვეს ჩააწოდა. **ჯოლეონ ლესკოტი ენტონი გარდნერს** დაუსხლტა და თავით გაიტანა. მომდევნო ხუთი წუთის განმავლობაში **დარენ ბენტმა** მოწინააღმდეგეს ორჯერ შეუტია: პირველად გაიტანა კიდეც, მაგრამ თამაშგარე დააფიქსირეს. მეორედ ევერტონელთა კარის დარაჯმა **ტიმ ჰოვარდმა** საუცხოო სეივით ბურთი კუთხურზე მოიგერია. მე-18 წუთზე "ტოტენჰემს" ცენტრალური მცველი **იუნეს კაბული** დაუშავდა. ის **რიკარდო როჩამ** შეცვალა. **პოლ სტალტერი** კი უჩვეულო პოზიციაზე, დაცვის მარცხენა ფლანგზე გადასწიეს.

26-ე წუთზე გარდნერმა წონასწორობა აღადგინა. ის **ჯერმეინ ჯენასის** კუთხურს გამოეხმაურა, მეურვე ლესკოტისაგან თავი დაიხსნა და შეაგდო. 11 წუთში **ლეო ოსმანმა** სტუმრები ისევ წინ გაიყვანა. ამ იერიშშიც არტეტა მონაწილეობდა. მან მარჯვენა ფლანგიდან შორი ძელისაკენ ჩააწოდა, რიკარდო როჩამ ის უხეიროდ მოიგერია. ოსმანმა ამით ისარგებლა და მეორედ აიღო **პოლ რობინსონის** კარი. ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე **ალან სტაბსმა** 30 იარდში დანიშნული საჯარიმო კარში დაარტყა, ბურთი **დიდიე ზოკორას** შეეხო, მიმართულება შეიცვალა და დაბალ კუთხეში გაეხვია. მეორე ტაიმში "ტოტენჰემის" ყველაზე სახიფათო მომენტი **დიმიტარ ბერბატოვმა** შექმნა. მისი დარტყმის შემდეგ ბურთი ძელმა აისხლიტა...

გუშინ **სვენ გორან ერიქსონმა** მეორე გამარჯვება მოიპოვა. "მანჩესტერ სიტი" პრემიერლიგის ერთადერთი გუნდია, რომელსაც გოლი არ გაუშვია. "სანდერლენდმა" კი, პირველი ტურის მსგავსად, ამჯერადაც ბოლო წუთზე გაიტანა. განსხვავება ის იყო, რომ **როი კინის** შეგირდებმა "ტოტენჰემს" სამი ქულა აართვეს, გუშინ კი ბირმინგემელებს ერთი ქულა გამოგლიჯეს ხელიდან. დარჩენილ ორ მატჩში "ფულჰემმა" "ბოლტონს", ხოლო "ვიგანმა" "მიდლსბროს" აჯობა.

**ტოტენჰემი–ევერტონი 1:3**

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, კაბული (18. როჩა), გარდნერი, სტალტერი (67. რუთლიჯი), ზოკორა, ჯენასი, მალბრანკი, რობი კინი, ბერბატოვი, დარენ ბენტი (61. დეფო).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ოსმანი, ფილ ნევილი, კარსლი, არტეტა, ჯონსონი, ანიჩებე (80. ჟაგიელკა).

**გოლები:** 0:1 ლესკოტი (3), 1:1 გარდნერი (26), 1:2 ოსმანი (37), 1:3 სტაბსი (45).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 15(8)-19(10); **ჯარიმა:** 16-9; **კუთხური:** 9-4; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 35 716

**ბირმინგემი–სანდერლენდი 2:2**

**ბირმინგემი:** დოილი, ჯურუ, კელი, პერნაბი, რიჯველი, კაპო, ლარსონი, მაკშეფრი (65. ოკონორი), მუამბა, ნაფტი, ფორსელი (84. ჯერომი).

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰელფორდი (70. ოდონოვანი), მაკშეინი, ნოსვორთი, კოლინზი, ედვარდსი, ეტუჰუ, უოლესი, უაითჰედი (58. მილერი), ჩოპრა, კონოლი (58. ჯონი).

**გოლები:** 1:0 მაკშეინი (28-საკ.კარში), 1:1 ჩოპრა (75), 2:1 ოკონორი (82), 2:2 ჯონი (90).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 7(3)-8(3); **ჯარიმა:** 17-10; **კუთხური:** 2-7; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 24 898

**ფულჰემი–ბოლტონი 2:1**

**ფულჰემი:** უორნერი, ბეირდი, ბოკანეგრა, ნაიტი, კონჩესკი, საიმონ დევისი, სმერტინი, ბუაზა (80. დემპსი), ჰილი, მაკბრაიდი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სიდი, ჰანტი, მეიტე, სამუელი (90. მიხალიკი), მაკენი (76. ალონსო), ნოლანი, სპიდი, ანელკა, დიუფი, ჰელგუსონი (72. ბრაატენი).

**გოლები:** 0:1 ჰელგუსონი (12), 1:1 ჰილი (23), 2:1 სმერტინი (26)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 8(6)-14(7); **ჯარიმა:** 19-13; **კუთხური:** 9-8; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 21 102

**მანჩესტერ სიტი–დერბი 1:0**

**სიტი:** შმაიხელი, კორლუკა, დანი, გარიდო, რიჩარდსი, ელანო (89. მპენზა), ჰამანი, ირლანდი, მაიკლ ჯონსონი, მარტინ პეტროვი (74. ჯოვანი), ბიანკი (78. ბოჟინოვი).

**დერბი:** ბაივოტერი, სლოდ დევისი, გრიფინი, მიერსი, მური, ტოდი (77. მაკევილი), ჯოუნსი (46. ტილი), ოუკლი, პერსონი, ფაგანი (70. ერნშო), ჰოვარდი.

**გოლი:** 1:0 მაიკლ ჯონსონი (43)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 10(6)-6(3); **ჯარიმა:** 12-13; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 43 620

**პორტსმუთი–მანჩესტერ იუნ. 1:1**

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, კრეინი (46. ტრაორე), დესტენი, ჰრეიდარსონი, პამარო (64. ჰიუზი), შონ დევისი, მუნტარი, პედრო მენდესი (46. მეტიუ ტეილორი), უტაკა, მვარუვარი, ნაჯენტი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ბრაუნი (88. ბრაუნი), ევრა, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, ქერიკი, გიგზი (81. ოში), ნანი, რონალდო, სქოულზი, ტევესი.

**გოლები:** 0:1 სქოულზი (15), 1:1 მვარუვარი (53),

**გაძევება:** მუნტარი (83. პორტსმუთი), რონალდო (85).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 7(6)-21(12); **ჯარიმა:** 13-5; **კუთხური:** 6-12; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 20 510

**რედინგი–ჩელსი 1:2**

**რედინგი:** ჰანემანი, დაბერი (29. ბიკი), იგიმარსონი, მერტი, შორი, კალიფა სისე, ჰარპერი, ჰანტი, ოსტერი (79. კი-ჰიეონი), დოილი, ლონგი (74. გუნარსონი).

**ჩელსი:** ჩეხი, ბენ ჰაიმი, რიკარდო კარვალიო (31. გლენ ჯონსონი), ეშლი კოული, პაულუ ფერეირა (46. პისარო), ლემპარდი, მალუდა, სიდველი (46. ობი მიკელი), რაიტ-ფილიპსი, კალუ.

**გოლები:** 1:0 ბიკი (29), 1:1 ლემპარდი (47), 1:2 დროგბა (50).

**გაძევება:** კალიფა სისე (72)

**გაფრთხილება:** 4-5; **დარტყმა:** 15(11)-15(7); **ჯარიმა:** 15-16; **კუთხური:** 4-11; **ბურთის ფლობა:** 27%-73%.

**მაყურებელი:** 24 031

**ვიგანი–მიდლსბრო 1:0**

**ვიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი, გრანკვისტი, მელხიოტი, შარნერი, კილბეინი, კუმასი, ლანდზაატი, სიბირსკი (66. აგაჰოვა), ვალენსია, ჰესკი.

**მიდლსბრო:** შვარცერი, არკა, ენდრიუ დევისი, რიგოტი, ენდრიუ ტეილორი, უიტერი, ჯორჯ ბოატენგი, დაუნინგი, თუნჯაი (71. ენდი ჯონსონი), ალიადიერი (87. კატერმოული), იაკუბუ (65. ლი).

**გოლი:** 1:0 სიბირსკი (55)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 14(5)-5(1); **ჯარიმა:** 8-20; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 14 007

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ევერტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. მანჩესტერ სიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 3. ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 4. სანდერლენდი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5. ნიუკასლი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 6. არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7. ბლექბერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 8. ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 9. ფულჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 10. ვიგანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 11. პორტსმუთი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 12. მანჩესტერ იუნ. | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 13. ბირმინგემი | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 | 1 |
| 14. რედინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 15. დერბი ქაუნთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 16. ასტონ ვილა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 17. მიდლსბრო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 18. ბოლტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 19. ვესტ ჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 20. ტოტენჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**მომდევნო ტური**

შაბათი, 18 აგვისტო. **ბირმინგემი-ვესტ ჰემი, ფულჰემი-მიდლსბრო, ნიუკასლი-ასტონ ვილა, პორტსმუთი-ბოლტონი, რედინგი-ევერტონი, ტოტენჰემი-დერბი, ვიგანი-სანდერლენდი.** კვირა, 19 აგვისტო. **ბლექბერნი-არსენალი, ლივერპული-ჩელსი, მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ.**


ეროვნული ბიბლიოთეკა


ენდი კოული

მოსალოდნელი ტრანსფერი

## კინი კოულსაც თავისთან უხმობს

### დიდი მანჩესტერის სამი ვარსკვლავი სანდერლენდში?

**როი კინი ენდი კოულის** სანდერლენდში ჩაყვანას აპირებს. 35 წლის თავდამსხმელმა წინა სეზონი "პორტსმუთში" გაატარა. მას კონტრაქტი ივნისში დაუმთავრდა, თანამშრომლობის გაგრძელება კი არ შესთავაზეს. კოული პენსიაში გასვლას არ ჩქარობს, მაგრამ არც სარფიანი წინადადებით მიუმართავს ვინმეს. ამიტომ ძველ მეგობართან "სანდერლენდში" გადასვლას სიამოვნებით დათანხმდება. თანაც ამ გუნდში მისი ყოფილი პარტნიორი **დუაიტ იორკიც** თამაშობს. იორკისა და კოულის მანჩესტერული დუეტი წლების განმავლობაში შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს. "მანჩესტერ იუნაიტედს" უკავშირდება, კინის, იორკისა და კოულის ყველაზე დიდი წარმატებაც - 1999 წელს მოპოვებული ჩემპიონთა თასი, ინგლისის ჩემპიონის არა ერთ ტიტულსა და თასებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

როი კინი აგვისტოს ფანჯრის დახურვამდე კიდევ ორი ფეხბურთელის დამატებას აპირებს. ენდი კოული მისი უპირველესი სამიზნეა, განსაკუთრებით მას მერე, რაც ტოტენჰემელმა **მიდომ** "მიდლსბროში" გადასვლა გადაწყვიტა: *"ენდი "პორტსმუთიდან" ნამდვილად წამოვიდა. მას ამ დღეებში შევეხმიანები. საერთოდ, თუ უახლოეს ერთ-ორ კვირაში კიდევ ორ მოთამაშეს ავიყვანთ, კმაყოფილი ვიქნები. დღევანდელი შემადგენლობაც სავსებით მაკმაყოფილებს, მაგრამ ვფიქრობ, მეტი სიმშვიდისათვის კიდევ ორი ფეხბურთელი გვჭირდება."*

ახალგაზრდა მწვრთნელმა ისარგებლა შემთხვევით და ის მოთამაშეები გააკრიტიკა, რომლებიც მისივე სიტყვებით, ფეხბურთზე მეტს დროს სხვა საქმეებს უთმობენ: *"როცა კლუბი ფულს ხარჯავს, საჭირო ფეხბურთელიც უნდა შეიძინოს, მაგრამ ძლიერი პიროვნებების პოვნა სულ უფრო ძნელდება. მოთამაშეები უფრო მეტად ფულზე, პრესტიჟულ ადგილებში ცხოვრებასა და ფუფუნებაზე ფიქრობენ, მე კი მგონია, რომ ისინი, პირველ რიგში ფეხბურთელები არიან, პენსიაში გასვლის შემდეგ კი, რაც გაუხარდებათ, ის შეუძლიათ, აკეთონ. მე ეს ძალიან მაფიქრებს."*




რედინგი-ჩელსი

ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

# ლაციო ბეწვის ხიდზე, ვალენსია გეგმით

## ტიფოზები კვლავ პრობლემებს ქმნიან, უეფა რომაელებს სანქციებით ემუქრება



ბენფიკა-კოპენჰაგენი. რუი კოშტას გააქვს პირველი გოლი დანიელთა კარში

**ჩემპიონთა ლიგამ** მესამე საკვალიფიკაციო ეტაპს უწია. ეს რაუნდიც და ჯგუფური სტადიის მონაწილეთა ვინაობა გაირკვევა. მანამდე კი მძიმე გზა აქვს გასავლელი "ლაციოს", რომელმაც საკუთარ მოედანზე ბუქარესტის "დინამოს" ვერ მოუგო. სამაგიეროდ, "ვალენსიამ" წინსვლა თითქმის 100 პროცენტით გაინაღდა. კიკე ფლორესის ბიჭებმა შვედეთის ჩემპიონ "ელფსბორგს" სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და განმეორებითი მატჩი ფორმალობად აქციეს. ახლა კი უფრო ვრცლად ამ და დანარჩენ ორ შეხვედრაზე...

| ლაციო-დინამო (ბუქ) | 1:1 |
| --- | --- |

ლაციო: ბალოტა, კრიბარი (22. კორალოვი), სკალონი, სტენდარდო (46. დე სილვესტრი), ძაური, ბეჰრამი, ლედესმა, მუტარელი, მაური (63. დელ ნერო), პანდევი, როკი.

დინამო: ლობონტი, ბლეი, ნასტასე (31. გოიანი), პულაკი, რადუ, კრისტეა, იზვორეანუ, როპოტანი, დანჩულესკუ, ნიკულესკუ, ციკუ (8. ოპრიცა/72. კიაჩუ).

**გოლები:** 0:1 დანჩულესკუ (21), 1:1 მუტარელი (53)

**გაძევება:** ბეჰრამი (72. ლაციო), მუტარელი (86. ლაციო), გოიანი (90. დინამო)

**მაყურებელი:** 40 000

მატჩის წინ "ლაციალეს" მწვრთნელი **დელიო როსი** გამარჯვებაში დარწმუნებული იყო, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ბუქარესტის "დინამომ" "ოლიმპიკოზე" დიდი ბრძოლა გამართა და დამსახურებულ ფრესაც მიაღწია. 22-ე წუთზე სტუმრები **დანჩულესკუს** თავურით დაწინაურდნენ, მერე რომაელთა ფორვარდმა **როკიმ** საპენალტო დუელი წააგო რუმინელთა მეკარე **ლობონტთან** და "ლაციოც" ანერვიულდა...

თუმცა თავიდან მასპინძელს დიდი უპირატესობა ჰქონდა და ცოტა მეტი ფხა რომ გამოეჩინა, საქმეს აქამდე არ მიიყვანდა. უკვე მე-4 წუთზე **პანდევმა** სერიოზულად დაასაქმა ლობონტი, რომელმაც რთული დარტყმა მოიგერია. გამოცდილმა მეკარემ უფრო მეტად იყოჩაღა ეპიზოდში, როცა როკი ახლო მანძილიდან ურტყამდა... ასე რომ, "დინამოს" გოლი გარკვეულწილად ალოგიკური იყო, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მერე და მერე, რუმინელები გაშინაურდნენ და მომენტებში თამაშსაც აკონტროლებდნენ. სტუმრები კარგად იყენებდნენ სივრცეებს, რომელსაც როსის გუნდი უკანმოუხედავი შეტევებით ქმნიდა...

მეორე ტაიმში რომაელებმა დაწოლა გააორმაგეს და მალე ანგარიშიც გათანაბრდა. შეცვლაზე შესული **დე სილვესტრის** ჩაწოდებით ნახევარმცველმა **მუტარელიმ** ისარგებლა და მძლავრი თავურის შემდეგ ჩინებულად მოთამაშე ლობონტიც უძლური აღმოჩნდა. მერე კიდევ ერთი მომენტი ჰქონდა პანდევს, რომელმაც **დელ ნეროს** პასი ვერ შეირგო. საბოლოოდ, **მირჩა რედნიკის** გუნდმა თამაში სასურველ დასასრულამდე მიიყვანა. ისე, თამაშის მიწურულს ერთი მაგარი "სეივი" **ბალოტამაც** შეასრულა, როცა გოლის ავტორ დანჩულესკუს დარტყმული გაანეიტრალა, თორემ ბუქარესტული მატჩის წინ "ლაციოს" შანსი კიდევ უფრო მოკრძალებული იქნებოდა...

ზემოთ ნერვიულობა ვახსენეთ და, ამან "ბიანკოჩელესტეს" მართლაც ცუდი სამსახური გაუწია. არადა, თამაში არ ყოფილა იმდენად უხეში და ვფიქრობთ, ნორვეგიელმა არბიტრმა **ტომ ჰენინგ ოვრებომ** ცოტაც გადააჭარბა. ასეა თუ ისე, საპასუხო შეხვედრაში როსის ორი წამყვანი მოთამაშე არ ეყოლება **ბეჰრამისა** და **მუტარელის** სახით, "დინამომ" კი **გოიანი** დაკარგა. დავამატოთ ამას ისიც, რომ იტალიელებს ორი მცველი, **კრიბარი** (რუმინელთა გოლის მომენტში მეტოქეს შეეჯახა, ყბის ძვალი გაებზარა და თვალიც დაიზიანა, რის გამოც 18 ნაკერი დაადეს. კრიბარი ორ თვეს გამოტოვებს) და **სტენდარდოც** დაუშავდა და ითამაშებენ თუ არა ისინი ბუქარესტში, ერთობ საეჭვოა. თუმცა "ლაციოს" დამრიგებელი იმედს არ კარგავს და შანსებს მაინც თანაბრად აფასებს:

*"მიუხედავად იმისა, რაც მოედანზე ხდებოდა, იქნება ეს ტრავმების, გაძევებებისა თუ გამოუყენებელი მომენტების ჩათვლით, ჩემი გუნდის თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. დიახ, ბიჭებს მადლობა უნდა გადავუხადო. სამწუხაროდ, ფორტუნამაც ზურგი გვაქცია. ესეც არ იყოს, პენალტის მომენტში, ჩემი აზრით, რუმინელთა მეკარე გაძევებას იმსახურებდა. ხოლო მეორე ტაიმში იყო კიდევ ერთი ეპიზოდიც, როცა არბიტრს მეორე 11-მეტრიანის დანიშვნის საფუძველიც ჰქონდა... და მაინც, საგანგაშოსა და ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. შანსები? ვფიქრობ, შანსები 50/50-ზეა".*

ბოლოს კი მოედნიდან ტრიბუნებზეც ავინაცვლოთ. იტალიელმა ქომაგებმა კიდევ ერთხელ "გამოიჩინეს" თავი ხულიგნობით, რაც "ლაციოს", შეიძლება, სანქციებად დაუჯდეს. "ოლიმპიკოს" ერთ-ერთ სექტორში ადგილობრივ და სტუმარ ფანებს შორის შეტაკება მოხდა, რის შემდეგაც 5 რუმინელი დაშავდა. მაგრამ მარტო ეს არა, "დინამო" მხარე ჩივის, რომ იტალიელთაგან იყო რასისტული შეძახილებიც. მოგეხსენებათ, სტადიონებზე რასიზმის გამოვლინებას უეფა განსაკუთრებული ძალისხმევით ებრძვის და თუ ეს დამტკიცდა, "ლაციო" ჯარიმას ნამდვილად ვერ გადაურჩება. თუ რა სახისა და სიმძიმის იქნება ეს ჯარიმა, ახლა ამაზე მარჩიელობას არ დავიწყებთ და უეფას პრესსამსახურის განმარტებით შემოვიფარგლებით:

*"ჩვენ ველოდებით არბიტრისა და დამკვირვებლის ანგარიშს. როცა ყველა დოკუმენტი ხელთ გვექნება, სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს ამ საკითხზე და შესაბამის ვერდიქტსაც გამოიტანს. როცა გულშემატკივრებს შორის ჩხუბი სტადიონის გარეთ ხდება, ეს ქალაქის პოლიციის საქმეა, მაგრამ ჩვენ გვაქვს წინასწარი მონაცემები, რომ რასისტულ და სხვა სახის გამოხდომებს ადგილი ჰქონდა მატჩის დაწყების წინ და უშუალოდ მატჩის დროსაც. ამგვარი შემთხვევების მიმართ გულგრილნი ვერ დავრჩებით. ერთიც უნდა აღინიშნოს, რომ "ლაციოს" ფანების მხრიდან ეს პირველი შემთხვევა არ არის. ისინი ხშირად ქმნიან პრობლემებს და ამას საგანგებო ყურადღება უნდა მივაქციოთ".*

| ბენფიკა-კოპენჰაგენი | 2:1 |
| --- | --- |

ბენფიკა: კუიმი, მარინიო, ლეო, ლუიშ ფელიპე, ლუიზაო (37. ადუ), კარდოზუ, კაცურანისი, ნუნუ ასისი (74. ნუნუ გომეში), პეტი, რუი კოშტა, ბერხესიო (46. ფაბიო კონტრაო).

კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, გრავგაარდი, ჰანგელანდი, იენსენი, გრონკიაერი, ჰათჩინსონი, კვისტი, ნორეგაარდი (89. ზიონკო), ზილბერბაუერი, ვიურცი, ოლბაკი (78. ნორდსტანდი).

**გოლები:** 1:0 რუი კოშტა (25), 1:1 ჰათჩინსონი (36), 2:1 რუი კოშტა (86)

**მაყურებელი:** 55 722

"ბებერი" **რუი კოშტას** წყალობით "ბენფიკამ" მეტად რთული გამარჯვება მოიპოვა "კოპენჰაგენთან" საშინაო მატჩში, მაგრამ საპასუხო შეხვედრის წინ მაინც ფავორიტად რჩება. სიმბოლურია, რომ ჩემპიონთა ლიგის წინა ტურნირი პორტუგალიურმა გრანდმა სწორედ "კოპენჰაგენთან" მატჩით (ჯგუფურ ეტაპზე) დაასრულა, დაამარცხა რა ეს გუნდი 3:1 და მოსალოდნელი იყო, რომ წლევანდელი გათამაშების სასტარტო შეხვედრაშიც სოლიდური სხვაობით გაიმარჯვებდა. სხვებსაც რომ **რუი კოშტას** მსგავსად ეთამაშათ, ასეც იქნებოდა, მაგრამ აშკარაა, რომ "ბენფიკას" კარგი შემსრულებლები აკლია. ცოტა არ იყოს, გაუგებარია **ფერნანდუ სანტუშის** გადაწყვეტილებაც. პორტუგალიელთა თავკაცმა გამოცდილი **ნუნუ გომეში** მხოლოდ ბოლო 15 წუთი ათამაშა...

რუიმ კი ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა. ამ მომენტისთვის მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი დომინირებდა. დანიელები საკუთარ ნახევარზე ჩაიკეტნენ და ოდენ შეტევების მოგერიებით იყვნენ დაკავებულნი. თუმცა იშვიათი შანსი მაინც გამოიყენეს. **ლუიზაომ** უხერხულად მოიგერია საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი და **ჰათჩინსონმა კუიმს** დაბალ კუთხეში გაუტანა. სხვათა შორის, ლუიზაოსთვის ეს საღამო ნამდვილ კოშმარად იქცა. გოლიდან ერთი წუთიც არ იყო გასული, როცა ბრაზილიელმა მცველმა ტრავმის გამო შეცვლა მოითხოვა და ადგილი დაუთმო ამერიკელ ვუნდერკინდად წოდებულ **ფრედი ადუს**, რომელსაც თავი მაინცდამაინც არაფრით გამოუჩენია...

მეორე ტაიმში" ბენფიკამ" ტემპი კიდევ უფრო გაზარდა. სრული დატვირთვით მუშაობდა მეკარე **კრისტიანსენი**, რომელმაც არაერთი რთული ბურთი მოიგერია, მაგრამ რუი კოშტას კიდევ ერთ ზუსტ დარტყმას ველარ გაუმკლავდა - 2:1. მასპინძელთა დამრიგებელ ფერნანდო სანტუშს კი საპასუხო მატჩისთვის სქემა უკვე მოხაზული ჰქონია:

*"დანიელებს გოლის გატანა უნდათ, ამიტომ, ისინი შეტევაზე გადმოვლენ, ჩვენ კი კონტრშეტევებზე გვექნება შანსი და მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. მეტოქეს პატივს კი ვცემთ, მაგრამ "ბენფიკა" უფრო ძლიერია და ლიგაში თამაშს სწორედ ის იმსახურებს".*

| რეინჯერსი-ცრვენა ზვეზდა | 1:0 |
| --- | --- |

რეინჯერსი: მაკგრეგორი, ბროდფუტი, კუელიარი, ჰატონი, უეირი, ბიზლი (65. ნოვო), ფერგიუსონი, ემდანი, მაკკალოხი, ტომსონი, დარშევილი (65. კუზენი).

**ცრვენა ზვეზდა:** რანჯელოვიჩი, ანჯელოკოვიჩი, გუეიე, ბრონოვსკი, კასტილიო, კორომანი, ლუკაში, მილიასი, ტუტორიჩი, ჯორჯევიჩი (83. მილოვანოვიჩი), რაშკოვიჩი (70. მოლინა).

გოლი: 1:0 ნოვო (90)

მაყურებელი: 35 314

იქნებ სჯობდა, **უოლტერ სმიტს** თავიდანვე ძირითადში დაეყენებინა **ნაჩო ნოვო**, რომლის მიერ 90-ე წუთზე გატანილმა გოლმა "რეინჯერსს" აუცილებელი გამარჯვება მოუტანა. ესპანელი ფორვარდი დროულად გაერკვა სერბთა საჯარიმოში შექმნილ სიტუაციაში და მეკარე **რანჯელოვიჩს** ბურთი თავზე გადაუგდო...

თამაშის დასაწყისი (დანარჩენი ნაწილიც) მეტად მოსაწყენი გამოდგა. ორივე გუნდი ფრთხილობდა და თუ "ცრვენა ზვეზდისგან" ეს მოსალოდნელიც იყო, სმიტის მხრიდან ამგვარი ტაქტიკის არჩევას გამართლება ნაკლებად აქვს. უცნაურია, მაგრამ პირველ ტაიმში გუნდებს ერთხელაც არ დაურტყამთ კარის მიმართულებით. თუმცა მე-40 წუთზე სტუმრები კინაღამ დაწინაურდნენ. **ჯორჯევიჩმა** ბოლომდე ვერ ისარგებლა მცველ **კუელიარის** შეცდომით, რომელსაც ბურთი კი აართვა, მაგრამ დამაგვირგვინებელი დარტყმა ზუსტი ველარ გამოუვიდა...

თამაშის ხასიათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. როგორც ბოლოს გამოჩნდა, გადამწყვეტი ყოფილა 65-ე წუთი, როცა სმიტმა ორმაგი შეცვლა გააკეთა - მოედანზე **ნოვო** და **ბიზლი** შეუშვა. აქედან მოყოლებული, "ჩაფრები" უკეთ ათამაშდნენ. მართლია, მათ შეტევებს საჭირო სიმწვავე მაინც აკლდა, მაგრამ გამარჯვების გოლისთვის ეს ძალისხმევა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა... მაგრამ საკმარისი იქნება თუ არა 1:0, ამას "რეინჯერსის" ფანები ორ კვირაში გაიგებენ.

| ვალენსია-ელფსბორგი | 3:0 |
| --- | --- |

**ვალენსია:** კანისარესი, კანეირა, მარჩენა, მორეტი, ალბიოლი, ალბელდა, ბარახა, ხოაკინი (80. ანგულო), სილვა, ვისენტე (59. მორიენტესი), ვილია (78. გავილანი).

**ელფსბორგი:** ვილანდი, აუგუსტსონი, ბიორკი, კარლსონი, მობეკი, ჰოლმენი, ილოლა (76. ავდიჩი), იშიზაკი, ა. სვენსონი, კინი (63. ბერგლუნდი), მ. სვენსონი (69. ალექსანდერსონი).

**გოლები:** 1:0 ვისენტე (6), 2:0 ვილია (58), 3:0 მორიენტესი (70)

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 49 000

**კიკე სანჩეს ფლორესმა** "ელფსბორგს" ძველი გვარდია დაუპირისპირა. ალბათ, მწვრთნელი ცამდე მართალი იყო, როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდა. ჩემპიონთა ლიგა შინაური ტურნირისგან სპეციფიურად განსხვავდება და ახლების იგნორირებით, მან რისკი მინიმუმამდე შეამცირა. ძველებმა კი ძველებური შემართებით ითამაშეს. 3:0 ის ანგარიშია, რაც გუნდს მშვიდი ცხოვრების საშუალებას მისცემს. ისე, შვედების მეკარეს რომ არ ეყოჩაღა, ანგარიში გაცილებით დიდიც იქნებოდა. მთავარი იყო ადრეული გოლი, რომელიც **ვისენტემ** მე-6 წუთზე გაიტანა. **ვილანდმა ვილიას** დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ ვისენტეს დამატებულს ველარაფერი მოუხერხა.

ანგარიში მეორე ტაიმში გაორმაგდა, როცა იმავე ვილიამ **ხოაკინის** ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა. მერე, კიდევ ერთი საგოლე გადაცემა შეასრულა ხოაკინმა, რომელმაც ამჯერად **მორიენტესს** გაუმართა ხელი. ამით, "მორომ" მწვრთნელს თითქოს მიანიშნა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშს იმსახურებს, მაგრამ რა ქნას კიკემ, რომელსაც მორიენტესის გარეშეც მშვენიერი არჩევანი აქვს?

***გუშინდელი მატჩების ტექნიკური შედეგები იხ. მე-11 გვერდზე.***



ლაციო-დინამო. დანჩულესკუ (მარჯვნივ) ხსნის ანგარიშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# კარაგერი არ დაბრუნდება

## მაკლარენმა სხვა გამოსავალი უნდა ეძებოს...

ინგლისელთა თავკაცი **სტივ მაკლარენი ჯეიმი კარაგერს** შეხვდა. მწვრთნელი შეეცადა, დაერწმუნებინა ლივერპულელი მცველი, რომ ის ეროვნული გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია. ივნისში კარაგერმა სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. მაკლარენის თხოვნის მიუხედავად, მან გუნდში დაბრუნება არ ისურვა. გერმანიასთან ამხანაგურ, უფრო მეტად კი სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩებს ისრაელსა და რუსეთთან, ინგლისელები უმწვავესი საკადრო პრობლემებით ხვდებიან. მაკლარენს განსაკუთრებით დაცვის ცენტრში უჭირს. **ჯონ ტერი** (ჩელსი), **ლედლი კინგი** (ტოტენჰემი) და **ჯონათან ვუდგეიტი** (მიდლსბრო) დაშავებულები არიან. მწვრთნელის განკარგულებაში მხოლოდ **რიო ფერდინანდია**. კარაგერის დაბრუნება ამიტომაც იყო მნიშვნელოვანი. ჯეიმიმ ნაკრებში 34-ჯერ ითამაშა. ის "ლივერპულის" სული და გულია, მაგრამ ეროვნულ გუნდში უმწვავესი კონკურენციის გამო (ტერისა და ფერდინანდის მხრიდან), მეორეხარისხოვან როლს ვერ გასცდა. ამგვარად, კარაგერი არ ითამაშებს. მისტერ სტივს სხვა გამოსავლის პოვნა მოუწევს. ის "პორტსმუთის" ვეტერანი მცველის, **სოლ კემპბელის** გამოძახებას აპირებს. განიხილება "მანჩესტერ სიტის" განაპირა მცველის, **მიკა რიჩარდსის** ცენტრში გამწევების საკითხიც.



ჯეიმი კარაგერი

მოგეხსენებათ, ინგლისელთა პრობლემები ამით არ ამოიწურება. ორთვიანი შვებულება აიღო **უეინ რუნიმ**. ნაკრებისთვის ისიც დიდი დანაკლისია, მაგრამ მწვრთნელი მშვიდადაა. გამოჯანმრთელდა **მაიკლ ოუენი** (ნიუკასლი). ის მომავალ უქმეებზე "ასტონ ვილასთან" კალენდარულ მატჩში ითამაშებს. მის გარდა, ინგლისელებს **პიტერ კრაუჩი** (ლივერპული), **დარენ ბენტი** (ტოტენჰემი), **ენდი ჯონსონი** (ევერტონი), **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი) და **დევიდ ნაჯენტი** (პორტსმუთი) ჰყავთ. *"მაიკლი თავს კარგად გრძნობს, - თქვა მაკლარენმა, - გერმანიასთან მატჩზე უფრო მნიშვნელოვანია შესარჩევი შეხვედრები. იმედია, იმ დროისთვის მაიკლ ოუენი, ოუენ ჰარგრივსი და დევიდ ბექჰემი უკეთეს ფორმაში იქნებიან."*

ვიხილავთ თუ არა **ბექჰემს** გერმანელებთან? ლოს ანჯელესში გადასვლის შემდეგ მან მხოლოდ 37 წუთი ითამაშა. ესე იგი, სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ ჰქონია. მაკლარენი გადაწყვეტილებას უახლოეს ორ-სამ დღეში მიიღებს, მას მერე, რაც "გალაქსის" ექიმების რჩევას მოისმენს და ფეხბურთელს გაესაუბრება: *"ის გუნდში იქნება. გვინდა, ოთხშაბათს ცოტა ხანს მაინც ითამაშოს. ვნახოთ, როგორ კონდიციაში იქნება. მთავარია, დროულად გამოჯანმრთელდეს."*

რუსეთის ნაკრები

# რუსების რეპეტიცია პოლონეთთან

22 აგვისტოს რუსეთი პოლონეთთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. რუსები სექტემბრის გადამწყვეტი შესარჩევი თამაშებისთვის ემზადებიან. **გუუს ჰიდინკმა** შემდეგი 18 ფეხბურთელი გამოიძახა:

**მეკარეები** - ვლადიმირ გაბულოვი (კუბანი), ანტონ შუნინი (დინამო);

**მცველები** - სერგეი იგნაშევიჩი (ცსკა), ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა), ვასილი ბერეზუცკი (ცსკა), ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი), დენის კოლოდინი (დინამო);

**ნახევარმცველები** - დინიარ ბილიალეტდინოვი (ლოკომოტივი), იური ჟირკოვი (ცსკა), იგორ სემშოვი (დინამო), დმიტრი ტორბინსკი (სპარტაკი), კონსტანტინ ზინიანოვი (ზენიტი), რომან ვორობიევი (ხიმკი);

**თავდამსხმელები** - ანდრეი არშავინი (ზენიტი), პაველ პოგრებნიაკი (ზენიტი), დმიტრი სიჩოვი (ლოკომოტივი), რომან პავლიუჩენკო (სპარტაკი), ივან საენკო (ნიურნბერგი).

პორტუგალიის ნაკრები

# სკოლარის ოცეული

22 აგვისტოს პორტუგალიას სომხეთთან შესარჩევი მატჩი ელოდება. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** 20-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. სიის გაცნობამდე შეგახსენებთ, რომ A ჯგუფს სათავეში უდგას პოლონეთი. მას ცხრა მატჩის შემდეგ 19 ქულა აქვს. მეორე და მესამე ადგილებს, შვიდ მატჩში დაგროვილი 14 ქულით, პორტუგალია და სერბეთი იყოფენ.

**მეკარეები** - რიკარდო პერეირა (ბეტისი), კუიმ სილვა (ბენფიკა);

**მცველები** - მიგელ მონტეირო (ვალენსია), ჟოზე ბოსინგვა (პორტუ), პაულუ ფერეირა (ჩელსი), რიკარდო კარვალიო (ჩელსი), ჟორჟე ანდრადე (იუვენტუსი), ფერნანდო მეირე (შტუტგარტი), მარკო კანეირა (ვალენსია);

**ნახევარმცველები** - რაულ მეირელესი (პორტუ), ტიაგო მენდესი (იუვენტუსი), მიგელ ველოსო (სპორტინგი), ჟოაო მოუტინიო (სპორტინგი), დეკუ (ბარსელონა);

**თავდამსხმელები** - კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი), სიმაო საბროსა (ატლეტიკო), რიკარდო კვარეშმა (პორტუ), ელბერ პოშტიგა (პორტუ), ნუნუ გომეში (ბენფიკა), ჟოაო ტომაში (ბრაგა).



ლუიშ ფელიპე სკოლარი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვან დერ ვაარტის ბინძური თამაში

## ორიოდ დღის წინათ მას მთელი ჰამბურგი აღმერთებდა, ახლა კი მოღალატე და უნამუსოა...



ვან დერ ვაარტი

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ "ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა "ვალენსიას" **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ტრანსფერზე ცივი უარი განუცხადეს, რითაც გუნდის კაპიტანი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან გაანაწყენეს, მაგრამ როგორც ჩანს, ჰოლანდიელი ნახევარმცველი დანებებას არ აპირებს და უნდა, რომ ყველა ღონე იხმაროს, რათა კარიერა პრიმერადივიზიონში გააგრძელოს. HSV-ს ფანებისთვის შოკისმომგვრელი განცხადების შემდეგ ("თუ გუნდში ძალით დამტოვებენ, მოტივირება გამიჭირდება"), ვან დერ ვაარტმა ფრონტის მეორე ხაზი გახსნა.

დღეს, "ჰამბურგი" უეფას თასზე ბუდაპეშტის "ჰონვედს" დაუპირისპირდება და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ვან დერ ვაარტი ამ შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებს. ერთის მხრივ, ეს კარგია, რადგან ასეთ დროს მისი თამაში მხოლოდ ცეცხლზე ნავთს დაასხამდა, მაგრამ გაირკვა, რომ ჰოლანდიელი ამ მატჩში მონაწილეობას თავს განგებ არიდებს, რაც გუნდისა და ქომაგების წინაშე კიდევ უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე მისი გუშინდელი გამონათქვამები.

ჰოლანდიური გამოცემა "დე ტელეგრაფი" გუშინ საკმაოდ საეჭვო შემთხვევაზე წერდა. საქმე ეხება ტრავმის მიზეზს, რის გამოც რაფაელმა დღეს არ უნდა ითამაშოს. ოფიციალური ვერსია ასეთია: ვან დერ ვაარტმა შვილის, ერთი წლის **დემიენის** ხელში აყვანისას ზურგი იტკინა და ბუდაპეშტში მისი თამაში საეჭვოა. HSV-ს პრესატაშე **იორნ ვოლფმა** დაადასტურა, რომ ფეხბურთელი გუშინ ექიმებს გაესინჯა. მაგრამ როგორ შეიძლება, რომ ფეხბურთელმა ერთი წლის ბავშვის ხელში აყვანისას ისე იტკინოს ზურგი, რომ თამაში ვერ შეძლოს? ექსპერტები ეჭვობენ, რომ ეს არ არის "უბედური შემთხვევა", რომ ვან დერ ვაარტი განგებ ცდილობს თამაშისთვის თავის არიდებას.

რატომ? მიზეზი მარტივია: ის ყველა ღონეს ხმარობს, რომ "ვალენსიაში" გადავიდეს და ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ ტრანსფერი განხორციელდება. რაც არ უნდა იყოს, უკმაყოფილო ფეხბურთელის გუნდში დატოვება, წესით, არც "ჰამბურგის" ხელმძღვანელებს უნდა აწყობდეთ - როცა კაცს წასვლა სურს, უნდა გაუშვა! ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ვან დერ ვაარტი დღეს უეფას თასზე იასპარეზებს, "ვალენსიაში" გადასვლის შემთხვევაში, 2008 წლამდე ევროტურნირებზე თამაშის უფლება აღარ ექნება! ეს კი მის ინტერესებში ნამდვილად არ შედის.

ზემოთ ხსენებულმა ჰოლანდიურმა გამოცემამ ფეხბურთელის ახალი განცხადებაც გაავრცელა. ჩემს თანაგუნდელებსა და მწვრთნელს პატივს ვცემ, ამიტომაც, უეფას თასის მატჩამდე არაფერს მოვიმოქმედებ, მერე კი, ალბათ "ვალენსიაში" გადავალო, უთქვამს რაფაელს.

"ჰამბურგის" ფანებს კი, მყისვე **ხალიდ ბულარუზის** შემთხვევა გაახსენდათ. ამ უკანასკნელმა, შარშან, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო მატჩში ("ოსასუნასთან") არ ითამაშა - ოფიციალური ვერსიით, ვარჯიშისას დაშავდა. ორიოდ დღეში კი, ბულარუზმა ლონდონის "ჩელსისთან" გააფორმა კონტრაქტი.

ერთი სიტყვით, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ჰოლანდიელი გამთამაშებელი ბუნდესლიგის უკანასკნელ დინოს დატოვებს და ესპანეთს მიაშურებს. ფაქტი ისაა, რომ მან "ჰამბურგის" ფანებიც მაგრად მოიმდურა. ქომაგები, სხვადასხვა ფორუმებზე უკვე წერენ, თუ ეს ეჭვი დადასტურდა და "ჰონვედთან" არ ითამაშებს, უმჯობესია, ჩვენს სტადიონს ახლოსაც აღარასოდეს გაეკაროს, თორემ ცუდად ექნება საქმეო. ამასობაში, "ბილდმა" გამოკითხვა ჩაატარა, უნდა დატოვონ თუ არა "ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა ჰოლანდიელი. გამოკითხულთა 63 პროცენტი ფიქრობს: *"გაყიდეთ! ვისაც არ უნდა, ნუ უნდა!"* მხოლოდ 37 პროცენტი მიიჩნევს, რომ ვან დერ ვაარტი უნდა დატოვონ. საინტერესოა, დასწყვეტს გულს რაფაელს ამ გამოკითხვის შედეგები, თუ მისთვის ქომაგების აზრიც სულერთია?

არადა, ჯერ კიდევ ორიოდ დღის წინათ, ვან დერ ვაართს ჰამბურგში აღმერთებდნენ...

**გოტფრიდ ლენცი**



# რაკიტიჩს მოკვლით ემუქრებიან!

გასულ პარასკევს, "შტუტგარტის" კარში გატანილი გოლი, საფინალო სასტვენის შემდეგ, **ივან რაკიტიჩმა** ხორვატიის დროშით იზეიმა. როგორც ირკვევა, სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ მას და მისი ოჯახის წევრებს ახლა მოკვლით ემუქრებიან. 19 წლის რაკიტიჩი შვეიცარიის მოქალაქეა, მაგრამ წარმოშობით ხორვატი გახლავთ, რაც თუნდაც გვარზე ეტყობა. შვეიცარიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კობი კუნმა** ის ეროვნულ გუნდში გამოიძახა, მაგრამ რაკიტიჩმა მთელ შვეიცარიას სილა გააწნა, მე ხორვატი ვარ და ხორვატიის ნაკრებში ვითამაშებო.

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ის საშინელება, რის გამოც ახლა მისი ოჯახის წევრებს შვეიცარიიდან გერმანიაში გადასახლება სურთ. რაკიტიჩის მამა **ლუკა** ყვება: *"მოგვდის წერილები, გარდა ამისა, დღეში რამდენჯერმე გვირეკავენ და გვლანძღავენ. მეუბნებიან, შენი შვილი ვერ გადაგვირჩებაო. ბოლოს ერთი წერილი მივიღეთ, რომელშიც ივანის სურათზე სისხლია დასხმული. ამის ატანა უკვე შეუძლებელია! დიდი ხანია, შვეიცარიაში ვცხოვრობთ და ამ ქვეყნის მოქალაქეობა ჩვენთვის საამაყოა, მაგრამ იძულებულები ვართ, რომ აქედან აბარგებაზე ვიფიქროთ. ვერ წარმომედგინა, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც შვეიცარიაა, ასეთი რამ მოხდებოდა."*

ტრანსფერები

# სისინიო: რომასკენ გზა ხსნილია

გუშინ იტალიური სააგენტოები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ **სისინიო** "რომაში" გადავიდა, ან უკიდურეს შემთხვევაში, ტრანსფერის სრულყოფამდე სულ რაღაც ერთი დღე აშორებდა. მაგალითად, Sky Italia წერდა, რომ "რეალსა" და "ჯალოროსის" შორის მოლაპარაკებებმა კრიტიკულ მიჯნას მიაღწია და რომ ამის საფუძველი გახდა ის დათმობები, რომელზეც ორივე მხარე წავიდა. რა იგულისხმება ამ დათმობებში? სამეფო კლუბი ბრაზილიელ მარჯვენა მცველში თავიდან 8.5 მილიონ გირვანქას ითხოვდა, მაგრამ მოლაპარაკებების შემდეგ ფეხბურთელის ფასი 6 მილიონამდე დააგდო. თავის მხრივ, "რომამ" 4.4-მილიონიანი შეთავაზება კიდევ ერთი მილიონით გაზარდა. როგორც ხედავთ, კონსენსუსი აშკარაა...

მოლაპარაკებებს ისიც ართულებდა, რომ "რეალს" საინტერესო წინადადება შესთავაზა "სევილიამაც". მაგრამ აქ ორმა ფაქტორმა ითამაშა მთავარი როლი. პირველი ის იყო, რომ მადრიდულმა გრანდმა ბოლოხანს მოლონიერებული ანდალუსიელების თავისივე ხელით გაძლიერება არ ისურვეს, ხოლო თავად სისინიომ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ კარიერა იტალიაში გაეგრძელებინა.

და კიდევ ერთი ინფორმაცია ამ ტრანსფერთან დაკავშირებით. იგივე იტალიური წყაროები გვამცნობენ, რომ ბრაზილიელ მცველთან გაფორმდება 3-წლიანი კონტრაქტი, რომლის ძალითაც ფეხბურთელი სეზონურად 1.5 მილიონი გირვანქით გამდიდრდება.

# გადავიდა თუ არა ჩელსიში?

## წინააღმდეგობრივი ცნობები დანიელ ალვეშზე

მოკლედ, ასეთი ამბებია: გუშინ, ინგლისურმა ვებგვერდებმა გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს "სევილიის" მარცხენა მცველი **დანიელ ალვეში** "ჩელსის" საკუთრება გახდა. დასახელდა თანხაც - 32 მილიონი ევრო, და ეს მაშინ, როცა 2003 წელს ბრაზილიელი ანდალუსიელთა შორის სულ რაღაც ერთ მილიონ ევროდ ჩაირიცხა. ამ ცნობას მყისვე მოყვა "ჩელსის" ოფიციალური კომენტარი, რომელშიც ნათქვამია, რომ ალვეშის ტრანსფერი სიმართლეს არ შეეფერება. თუმცა იქვე მითითებულია, რომ "არისტოკრატები" ამ ფეხბურთელით მართლაც არიან დაინტერესებულნი. არადა, რამდენიმე დღის წინ ამასაც კატეგორიულად უარყოფდნენ. სად არის ბოლო-ბოლო სიმართლე?!

# სოლდადო: ალბათ, ბეტისი...

**ექტორ კუპერი** თავდამსხმელს ეძებს. "ბეტისის" მწვრთნელმა კლუბის ხელმძღვანელობას ფორვარდის შეძენის თხოვნით უკვე მიმართა და ახლა შედეგის მოლოდინშია. კუპერს კონკრეტული ფავორიტებიც ჰყავს. მათ შორის, ერთ-ერთი პირველია "რეალის" თავდამსხმელი **რობერტო სოლდადო**, რომელიც არენდის შემდეგ სამეფო კლუბს დაუბრუნდა. თუმცა ის ხედავს, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა არ უწერია, ამიტომ, ურჩევნია, იმ გუნდში გადავიდეს, სადაც სასტარტოში მოხვედრის მეტი გარანტია ექნება. სხვათა შორის, "რეალი" და "ბეტისი" გუშინ ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს. მოელოდნენ, რომ მხარეები ამ შემთხვევით ისარგებლებდნენ და სოლდადოს ტრანსფერზე დაილაპარაკებდნენ...

ტოტენჰემი

# სოპრანოს კლანი უაით ჰართ ლეინზე

## მოახერხებს თუ არა მარტინ იოლი, ზედიზედ ორი მარცხის მიუხედავად, დიდი ოთხეულის მონოპოლიის დამხობას?

**პრემიერლიგის "დიდმა ოთხეულმა" ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა. ახლა ოპოზიციის ძირითადი იმედები გავლენიან "ტოტენჰემს" უკავშირდება. მოდით, განვიხილოთ, რამდენად დამაჯერებელია ეს მოლოდინი, მით უფრო მას მერე, რაც გუნდმა სასტარტო ტურებში ჯერ დებიუტანტ "სანდერლენდთან" (0:1), გუშინ კი "ევერტონთანაც" (1:3) წააგო.**

კლუბის დევიზი "იჩაუქო, ნიშნავს გააკეთო", "მამლების" ემბლემიდან შარშანდელი სეზონის წინ გაქრა. არადა, ზუსტად ახლა, მცირე სასტარო კრიზისისას, სჭირდება კლუბს ჩაუქობა და სიმამაცე. თუ დღევანდელ მდგომარეობას არ ჩავთვლით და პერსპექტივას დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ მრავალწლიანი სატურნირო სიბნელის შემდეგ, "ტოტენჰემს" შანსი აქვს, სინათლის სხივს გაჰყვეს. შესანიშნავი შემადგენლობა, ძლიერი მწვრთნელი, მყარი ფინანსური მდგომარეობა - ახლა კომპასი იმ მიმართულებას უჩვენებს, რითაც ძველი დიდების დაბრუნება შეიძლება.

წლების განმავლობაში "ტოტენჰემმა" მყარად დაიმკვიდრა საშუალო ინგლისური კლუბის სახელი. მისი თამაშის ყურება სასიამოვნოა, მაგრამ ის ტიტულებისგან ისევე შორსაა, როგორც ტემზა და შავი ზღვა. ბოლო დროს პრემიერლიგას "მამლებისგან" მხოლოდ ერთი სარგებელი ჰქონდა: სეზონში ორჯერ ისინი ჩრდილოლონდონური დერბის ("არსენალთან") ანტურაჟს ქმნიდნენ. არადა, იყო დრო, როცა "ტოტენჰემის" მთელ ევროპაში ერიდებოდათ. ლეგენდარული **ბილ ნიკოლსონის** თავკაცობით, გუნდმა პირველი ბრიტანული ევროტიტული, 1963 წელს თასების თასი მოიგო. ამას 1972 წელს უეფას თასი მიამატა. ამ კლუბის ანგარიშზეა პირველი ინგლისური დუბლი 1961 წელს. მას მერე "დეზები" უამრავ ლეგენდას მოურგია: **ჯიმი გრივსს, პეტ ჯენინგსს, გლენ ჰოდლს, პოლ გასკოინს, გარი ლინეკერს, იურგენ კლინსმანს, დავიდ ჟინოლას, ტედი შერინგემს, ლეს ფერდინანდს**, თუმცა "მამლები" ჩემპიონის ტიტულთან ახლოსაც არასდროს მდგარან.

60-იან წლებში "ტოტენჰემი" პოპულარობის პიკში იყო. მის თამაშებს ყველაზე მეტი გულშემატკივარი ესწრებოდა. ფანებთან დაკავშირებით საინტერესო ისტორიას გეტყვით: მათ შორის ყოველთვის უამრავი ებრაელი იყო. ამიტომ წლების განმავლობაში "კოლეგების" მხრიდან მუდმივად იყო გულისამრევი ანტისემიტური გამოხტომები. გულშემატკივრებმა, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, გადაწყვიტეს, საკუთარი თავისთვის "ებრაელთა არმია" ეწოდებინათ. ირონიულმა, ამავე დროს, თამამმა და მახვილგონივრულმა გადაწყვეტილებამ მეტოქე ფანები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. ეს სახელი კლუბს დღემდე შემორჩა და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს "ტოტენჰემის" ებრაელი გულშემატკივრები იშვიათადღა გვხვდებიან, ტრადიცია ნახევარსაუკუნოვანი მტერითაა დაფარული და მის დარღვევას არავინ ცდილობს. სასაცილოა, მაგრამ ხანდახან თავად "ებრაელთა არმიის" წევრებს სდებენ ბრალს ანტისემიტიზმში. საკლუბო ტრადიცია ერთ ძალიან კეთილ საქმესაც ინახავს: სტატისტიკის მიხედვით, წლების განმავლობაში "ტოტენჰემი" ქველმოქმედებაში 40-ჯერ (!) მეტ თანხას ხარჯავს ვიდრე სხვები.

კლუბი სატრანსფერო თანხებსაც უშურველად ხარჯავს. 2001 წელს "დეზების" ძირითადი აქციონერი საინვესტიციო კომპანია ENIC Group გახდა, ხოლო ამ ფირმის მენეჯერმა **დანიელ ლევიმ** პრეზიდენტის პორტფელი მიიღო. კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა და ბრწყინვალე ეკონომისტმა კლუბის ფინანსური კეთილდღეობა განამტკიცა. დღევანდელი "ტოტენჰემი" საკმაოდ კონკურენტუნარიანია. სულ ცოტა ხნის წინათ ENIC-მა საკუთარი წილი 66 პროცენტამდე გაზარდა.

მიმომხილველები კლუბის უმთავრეს სასელექციო წარმატებად **მარტინ იოლს** ასახელებენ. მისმა საფეხბურთო კარიერამ "დენ ჰააგში", "ბაიერნსა" და "ტვენტეში" ჩაიარა. ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადი ნისლიან ალბიონზე, "ვესტ ბრომვიჩსა" და "ქოვენთრიში" გაატარა. "ტოტენჰემთან" მისი რომანი 2004 წელს დაიწყო, მაშინ, როცა ფრანგი **ჟაკ სანტინის** თანაშემწედ დანიშნეს. მარტინმა უმალ მოხიბლა "უაით ჰართ ლეინის" ფანობა. გულშემატკივრებმა მას ზედმეტი სახელი, "ტონი სოპრანო" შეარქვეს, ქართველი ტელემაყურებლისთვის კარგად ნაცნობი გმირის საპატივცემულოდ. ზოგი ამაზე შორსაც წავიდა და მას მულტსერიალ "სიმპსონების" ერთ-ერთი გმირის სახელი უწოდა. მარტინის დამოკიდებულება კლუბის ხელმძღვანელობასთან იდეალურია, თუმცა "ჩელსიში" **ფრანკ არნესენის** წასვლის შემდეგ ისე ჩანდა, რომ მწვრთნელისთვის მძიმე პერიოდი უნდა დამდგარიყო.

მთავარი, რაც ჰოლანდიელმა მოახერხა, ესაა რწმენის დაბრუნება მოთამაშეებისთვის, ასევე ტრადიციული შემტევი სტილის აღორძინება, რაც გულშემატკივარს იმაზე მეტად ახარებს, ვიდრე ზედიზედ ორჯერ მეხუთე ადგილი და ე.წ. ჩემპიონობა, პირობითი ჩემპიონობა, რომელსაც ჟურნალისტები "დიდი ოთხეულის" შემდეგ საუკეთესო გუნდს ანიჭებენ ხოლმე. იოლის სამწვრთნელო კონცეფცია ითვალისწინებს დისციპლინასთან შერწყმულ შემტევსა და კომბინაციურ სტილს. იმის თქმა, რომ მწვრთნელმა გუნდის თამაში იდეალურად დააბალანსა, რა თქმა უნდა, ნაადრევია. გუნდი თანდათან იზრდება. ჯერჯერობით კი, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ის პოტენციალის მხოლოდ ორ მესამედს იყენებს. არასტაბილურობა ყოველთვის ახასიათებთ გუნდებს, რომლებიც განვითარების სტადიაში არიან და შემადგენლობაც ახალგაზრდული ჰყავთ. წლევანდელი სასტარტო წარუმატებლობის უმთავრეს მიზეზადაც ალბათ ეს უნდა დავასახელოთ.

სატრანსფერო პოლიტიკა მკაცრად თანმიმდევრულია - კლუბი უზარმაზარ თანხებს ხარჯავს ახალგაზრდებში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოთამაშეს კოჭებში ეტყობა დიდი ფეხბურთელობა. იოლი გუნდისთვის გამოსადეგ მასალას ეძებს ინგლისსა და მის ფარგლებს გარეთ. **მაიკლ დოსონი, აარონ ლენონი, პასკალ შიმბონდა, დარენ ბენტი, გარეთ ბეილი** სხვა, უფრო მოკრძალებული ამბიციების ინგლისური კლუბებიდან გადავიდნენ, **დენი მერფი** სულაც "ლივერპულიდან" მივიდა. **დიდიე ზოკორა, დიმიტარ ბერბატოვი, იუნეს კაბული, ბენუა ასუ-ეკოტო, კევინ-პრინს ბოატენგი** ლონდონის ჩრდილოეთში კონტინენტიდან მოხვდნენ. ეს შემადგენლობა ჯერაც შეუცნობელი პოტენციალის მატარებელია.

"ტოტენჰემის" გასული სეზონის ბურთების ბალანსი (57:54) ვიზუალურ შთაბეჭდილებებზე უკეთ მეტყველებს იმაზე, რომ სასურველი ბალანსი საპოვნელია. ამ საქმეში საკვანძო როლი ცენტრალურ ნახევარმცველებს აკისრიათ. ვერ ვიტყვით, ჯენასმა, ზოკორამ და **ჰადლსტონმა** სეზონი პირწმინდად ჩააგდესო, მაგრამ ისიც ნათელია, რომ თითოეულმა უნდა მოუმატოს. გასულ სეზონში დისპეტჩერის როლს ნაწილობრივ ბერბატოვი ითავსებდა. დაცვაში წარმოქმნილი სიცარიელის ამოვსება კი ვერავინ შეძლო (ბოლო დროს ცენტრალურ მცველ **ლედლი კინგს** ქრონიკული ტრავმები დასჩემდა). შედეგად, ისეთი გუნდებიც კი, როგორიც "ვიგანია", იოლად ახერხებდა ერთ მატჩში "მამლების" სამჯერ დამწუხრებას.

ახალ სეზონში "ტოტენჰემის" დაცვის ხაზი უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება. კინგის დასაზღვევად და შეიძლება, დოსონის სკამზე დასასმელადაც კი ლონდონელებმა იუნეს კაბული შეიძინეს. ის საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანია და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ცეტრალურ მცველად ითვლება. შუა ხაზს შეტევების ორგანიზებაში ატლეტური აღნაგობის გერმანელი ჰავბეკი კევინ-პრინს ბოატენგი დაეხმარება. მოსალოდნელია, რომ მომდევნო ტურებში საგრძნობლად მოუმატებენ ზოკორა, ჰადლსტონი და **ჯენასი**. ეს უკანასკნელი ინგლისის ნაკრების ძირითადში მოსახვედრად იბრძვის.

მარტინ იოლის კიდევ ერთი თავის ტკივილი მარცხენა ფლანგი იყო. დაცვაში **იანგ პიო ლისა** და ბენუა ასუ ეკოტოს უელსელი ვუნდერკინდი გარეთ ბეილი დაახმარეს. ნახევარდაცვაში კი, ალბათ, ისევ **სტიდ მალბრანკს, ტეემუ ტაინიოსა** და მარჯვენაფლანგელ აარონ ლენონს მოუწევთ შრომა. ლენონის მარცხნივ გადაყვანა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობით იქნება ნაკარნახევი, რადგან მას მარჯვენა ფრთაზეც არანაკლები როლი აკისრია. საერთოდ, "ტოტენჰემის" მარჯვენა ფლანგზე პასკალ შიმბონდასა და აარონ ლენონის დუეტი პრემიერლიგაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება და ვარაუდობენ, რომ იოლი გუნდის თამაშს სწორედ ამ ფლანგზე ააწყობს. მარცხენა ფრთას კი ტაქტიკური მანევრებისთვის გამოიყენებს. მაგალითად, თუ გუნდს საქმე ცუდად წაუვა, სწორედ მარცხენა ნახევარმცველის ნაცვლად გამოიყვანს მესამე თავდამსხმელს. შეტევეს ხაზში "ტოტენჰემს" განსაკუთრებით ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავს. მათი ერთდროულად შემადგენლობაში დაყენება შეუძლებელია. თვით გუნდის კაპიტანსა და სიმბოლოს, **რობი კინსაც** კი, დრო და დრო, სკამზე ჯდომა არ ასცდება.

ამგვარად, "ტოტენჰემმა" სეზონი დიდი იმედებით, მაგრამ ორი მარცხით დაიწყო. პრობლემების უსწრაფესად აღმოფხვრის შემთხვევაში, გუნდს ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ მესამე ცდიდან მაინც დაამხოს "დიდი ოთხეულის" მონოპოლია და თვითონ დაისაკუთროს ჩემპიონთა ლიგის საგზური.



უფროსი სოპრანო მარტინ იოლი და მისი კლანის ახალბედა წევრები: იუნეს კაბული, დარენ ბენტი და გარეთ ბეილი




ალეშანდრე პატო

ინტერვიუ ალეშანდრე პატოსთან

# ჩემი თამაშის არც ერთი ელემენტი არ არის სრულყოფილი

**ამ ბიჭის ტრანსფერს დიდი ვნებათაღელვა ახლდა. თინეიჯერი ბრაზილიელი თავდამსხმელის ხელში ჩაგდება თითქმის ყველა ევროპულ გრანდს სურდა. მაგრამ ის მილანელებს დარჩათ. პრეზენტაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ ალეშანდრეს "გაძეტა დელო სპორტი" შეეხმიანა და ინტერვიუ სთხოვა. პატო ავტორიტეტულ გამოცემას მაშინვე დათანხმდა. საუბარი "მილანის" საწვრთნელ ბაზაზე შედგა. ახალწვეულმა "გაძეტას" მიმომხილველს უამბო თავისი ოჯახის შესახებ, არ დაუმალავს, რომ თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს კომპიუტერთან ატარებს. არც ის, რომ მისი კერპი რონალდოა და ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც "მილანში" ტრანსფერი ახარებს. პატო ჟურნალისტს იმაშიც გამოუტყდა, რომ ანდრეი შევჩენკოს შვიდნომრიანი მაისურის მორგება სულაც არ ეჩქარება.**

**- რას გრძნობთ მას მერე, რაც "მილანთან" კონტრაქტი გააფორმეთ?**

- უდიდეს ბედნიერებას. ჩემი გული ემოციებითაა სავსე. მოუთმენლად ველოდები "მილანის" შემადგენლობაში თამაშს.

**- ფეხბურთელი ალეშანდრე პატოს შესახებ საკმაოდ ბევრი რამ ვიცით, მაგრამ როგორი ადამიანია ის?**

- ძალიან მხიარული, მაგრამ ამავე დროს ძალიან წყნარი. როცა ფეხბურთს არ ვთამაშობ, ისეთივე ცხოვრებით ვცხოვრობ, როგორც ჩემი ყველა თანატოლი. მე მშობლები და ძმები მყავს. მამას ჯერალდი ჰქვია, დედას როზალი. ჩემი ერთი ძმა ფიზმომზადების მწვრთნელია, მეორე სწავლობს, რომ ისიც მწვრთნელი გახდეს. ოჯახის წევრებთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებს.

**- რა გამოხვიდოდით, პროფესიონალი ფეხბურთელი რომ არა?**

- ალბათ, ფიზიოთერაპევტი, ჩემი ძმების მსგავსად.

**- თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ. არ გაგიჭირდებათ მშობლების გარეშე ცხოვრება?**

- არა, რადგან 13 წლის ვიყავი, როცა სახლიდან წამოვედი. მას მერე დამოუკიდებლად ვცხოვრობ. წარმოიდგინეთ, პატო ბლანკოდან, სადაც დავიბადე, პორტუ ალეგრიმდე, სადაც ჩემი კლუბი "ინტერნასიონალი" თამაშობს, 600 კილომეტრია. ძალიან სწრაფად გავიზარდე, მშობლებისა და ოჯახისგან შორს. ახლა ჩემსა და საყვარელ ადამიანებს შორის დისტანცია კიდევ უფრო გაიზარდა, მაგრამ ეს პრობლემა არ არის. უმეტესად ჩემს საქმეზე ვფიქრობ. ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა.

**- მართალია, რომ ინტერნეტში დიდ დროს ატარებთ?**

- დიახ, ჩემს მეგობრებსაც კი ინტერნეტისა და ვებკამერის საშუალებით ვეკონტაქტები. საათობით შემიძლია ვიჯდე კომპიუტერთან და ფლეი სთეიშენთან. საფეხბურთო სიმულატორებში შეუდარებლად ძლიერი ვარ.

**- ესე იგი, მილანელოში ნესტასა და პირლოსთან მოგიწევთ ძალების მოსინჯვა. ისინი ფლეი სთეიშენის ნამდვილი ვარსკვლავები არიან.**

- ვნახოთ. ესე იგი, დაუვიწყარი სანახაობის მომსწრენი გავხდებით.

**- იტალიურად უკვე ხომ არ შეგიძლიათ რამის თქმა?**

- ჯერ არა. მის შესწავლას უახლოეს დღეებში დავიწყებ.

**- 2 სექტემბერს 18 წელი შეგისრულდებათ. როგორ აპირებთ მის აღნიშვნას?**

- ორი წვეულება უნდა გავმართო. ერთი პატო-ბლანკოში, მეორე პორტუ ალეგრიში და უკლებლივ ყველა მეგობარს გადავეხვიო და დავემშვიდობო.

**- რატომ აირჩიეთ, მაინცა და მაინც, "მილანი"?**

- იმიტომ, რომ ის იდეალური კლუბია, უდიდესი წარსულითა და შემტევი თამაშის სტილით. თანაც "როსონერის" თვითონაც უნდოდა, რომ მასთან გამეფორმებინა კონტრაქტი. კიდევ იმიტომ, რომ აქ ბევრი ბრაზილიელია. რა თქმა უნდა, "ჩელსი" და "რეალიც" დიდი კლუბები არიან, მაგრამ "მილანში" თამაში ყველაზე მეტად მინდოდა.

**- თქვენს ტრანსფერში 22 მილიონი ევრო გადაიხადეს. ამხელა თანხა დიდ ტვირთად ხომ არ გადაგექცევათ?**

- თანხაზე მეტად "მილანის" მიერ ჩემს მიმართ გამოჩენილი ნდობა მაკვირვებს. აგრეთვე ის, თუ როგორ ზრუნავენ ჩემზე და როგორ განიცდიან, რომ აუტანელი ფსიქოლოგიური ტვირთის ქვეშ არ აღმოვჩნდე. გული ამიჩუყდა, როცა სილვიო ბერლუსკონიმ და ადრიანო გალიანიმ ჩემზე თბილად ილაპარაკეს.

**- თქვენ მოგიწევთ ანდრეი შევჩენკოს შვიდნომრიანი მაისურის ჩაცმა?**

- ამას ალბათ, კლუბთან ერთად გადავწყვეტ. მე 11 ნომერი უფრო მომწონს, მაგრამ ის ჯილარდინოს საკუთრებაა. ჯილარდინო კი შესანიშნავი ფეხბურთელია, ისევე როგორც ინძაგი და რონალდო. "მილანს" შეუდარებელი თავდასხმა ჰყავს.

**- თქვენც ისეთივე რელიგიური ხართ, როგორც თითქმის ყველა ბრაზილიელი?**

- დიახ, მე მორწმუნე ვარ, ევანგელისტი.

**- თქვენი ბავშვობის კერპი ვინ იყო?**

- მე მხოლოდ ერთი კერპი მყავდა, რონალდო. დაუჯერებელია, რომ დღეს მისი პარტნიორი გავხდი.

**- "მილანის" გულშემატკივრებს ხომ არაფერს ეტყვით?**

- მინდა, შევპირდე, რომ ყოველთვის ჩემი შესაძლებლობების ზღვარზე ვითამაშებ და კლუბის წარმატებისთვის თავს არ დავზოგავ. გპირდებით იმასაც, რომ სექტემბრიდან იანვრამდე მოსამზადებლად გამოყოფილ თითოეულ წუთს მაქსიმალურად გამოვიყენებ, რათა ახალი წლის შემდეგ "მილანის" შემადგენლობაში ვითამაშო.

**- თქვენი თამაშის რომელი კომპონენტი საჭიროებს დახვეწას?**

- იცით, რა? 17 წლისა ვარ. ჩემს ასაკში კი შეუძლებელია იმის თქმა, რომ რომელიმე კომპონენტი სრულყოფილია და იქ შესაძლებლობების მაქსიმუმს მივაღწიე. სრულყოფილებისგან შორს ვარ, მაგრამ სწორედ ამისთვის ვაპირებ მუხლჩაუხრელად მუშაობას. დაე, ეს იყოს ჩემი პირველი დაპირება კლუბისა და მისი ქომაგების მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგიონერი

# ვლადივოსტოკი ანუ ვლადი აღმოსავლეთში

## ბორისამ სპარტაკ-პრიმორიესთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა



ვლადიმერ ბორისა

ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ვლადიმერ ბორისა** ვლადივოსტოკის "სპარტაკის" ხელმძღვანელობას ერთწლიან ხელშეკრულებაზე შეუთანხმდა. გუშინ, ვოვასთან საუბრისას შევიტყვეთ, რომ იგი ახალი კლუბის უფროსობას მოსკოვში შეხვდა და კონტრაქტი საკუთარი ხელმოწერითაც დაამშვენა. სათაურშიც წაიკითხავდით, რომ ხელშეკრულება ერთწლიანია. "სპარტაკში" გადასვლის გარდა, არის მეორე საკითხი, რომელიც ქართველ ქომაგს არანაკლებად აინტერესებს - როდის შეუერთდება ვლადიმერ ბორისა ეროვნულ ნაკრებს?

ამ კითხვაზე ვოვამ მოკლედ გვიპასუხა: *"10 დღე მაინც ოჯახთან ერთად უნდა ვიყო... ნაკრებში თამაში ძალიან მსურს, მაგრამ"*... მაგრამ ბორისას მეუღლე ბავშვს ელოდება და ვოვა მას მარტო ვერ დატოვებს. იმედი დავიტოვოთ, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის და ბორისა ეროვნულ ნაკრებს 10 დღის შემდეგ, 26 აგვისტოსთვის მაინც შეუერთდება. მისი დახმარება შეიძლება ლუქსემბურგთან და ავსტრიასთან არ დაგვჭირდეს, მაგრამ ისლანდიაში და ფინეთის წინააღმდეგ ვოვას თამაში შეიძლება, აუცილებელიც იყოს.

ვიდრე ვლადივოსტოკელთა ახალწვეულის ინტერვიუს შემოგვთავაზებდეთ, გეტყვით, რომ ბორისა რუსთავის "აზოტის" შემდეგ სლოვენიურ "სლოვანსა" და "ოლიმპიაში" ირიცხებოდა, ხოლო ბოლო ორი სეზონი იტალიურ "მონტეპასკიში" გაატარა. ქართველის დამატების გამო სპარტაკელების სასიხარულო განწყობას "პრიმორიეს" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიის სათაურიც გამოხატავს: *"სპარტაკ-პრიმორიეში" იტალიის ჩემპიონი ითამაშებს!"*

ვოვას ახალ კლუბზეც ვთქვათ. იგი რუსეთის გრანდებში ირიცხება და გასულ სეზონში მე-6 ადგილი დაიკავა. გაისად ამ მიღწევის გაუმჯობესება სურს და ძლიერი კალათბურთელების შემოსაკრებად თანხას არ იშურებს. "სპარტაკ-პრიმორიეს" წლეულს ევროთასზე ჰქონდა განაცხადი შეტანილი, მაგრამ რადგან კლუბის უფროსობამ ევრომატჩების მოსკოვში გამართვაზე უარი განაცხადა (ვლადივოსტოკში უნდა ჩატარდესო), ფიბამ გუნდი გათამაშებიდან მოხსნა. ამ ამბავმა რუსები ძალიან გააღიზიანა, ზოგმა ისიც თქვა, "პრიმორიეს" სხვა კლუბებიც უნდა გამოქომაგებოდნენო, მაგრამ ფიბას გადაწყვეტილება, ისევე როგორც მსაჯისა - კანონია...

საინტერესოა, რას ფიქრობს ამ საკითხზე თავად ვლადიმერ ბორისა:

- მართალია, მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე თვითმფრინავს 8 საათი სჭირდება, მაგრამ მგზავრობიდან დაწყებული, სასტუმროს ხარჯებით დამთავრებული, ყველაფერს საკუთარ თავზე "სპარტაკი" იღებს. და გასაკვირია, ფიბამ უარი რატომ თქვა. ვფიქრობ, ფიბას გადაწყვეტილება არასწორი იყო.

**- ევროთასებიდან მოკვეთამ გული ხომ არ დაგწყვიტა?**

- არც მასეა საქმე. ჯერ ერთი, ევროთასი ევროლიგასა და ულების თასს პრესტიჟულობის მხრივ ძალიან ჩამორჩება. მეორეც, ევროთასზე რომ გვეთამაშა, ვლადივოსტოკში დამატებით რამდენჯერმე უნდა მეფრინა. ახლა ერთ სეზონში მხოლოდ ხუთჯერ მომიწევს ჩასვლა.

**- როგორ?**

- "სპარტაკ-პრიმორიე" სანახევროდ მოსკოვში იქნება. ოქტომბერში მხოლოდ საშინაო შეხვედრებს გავმართავთ, ხოლო ნოემბერში მოსკოვში გავფრინდებით და გასვლით მატჩებს ჩავატარებთ, დეკემბერში ისევ ვლადივოსტოკში ჩავალთ და ა.შ. ამასთან მინდა დავამატო, რომ რადგან მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე ფრენას 8 საათი სჭირდება, მხოლოდ ბიზნეს-კლასით ვიმგზავრებთ, სადაც სხვა ფუფუნების საგნებთან ერთად საწოლებიც იქნება.

**- მოსკოვში, კონტრაქტზე ხელმოწერისთვის ჩასულს როგორ შეგხვდნენ?**

- ჩემმა დამატებამ კლუბის ხელმძღვანელობა ძალიან გაახარა, რადგან დიდი გზის გამო "სპარტაკ-პრიმორიეში" თამაშს ბევრი არ ყაბულდება. უკმაყოფილების საბაბი არც მე მაქვს - ჩემს მიერ დაყენებული ყველა პირობა ულაპარაკოდ დააკმაყოფილეს. ამიტომაც გადავწყვიტე "სპარტაკში" გადასვლა. თან მაინტერესებს, რუსეთის ჩემპიონატის დონე. იქ ხომ ულების თასისა და ევროლიგის მომგები კლუბები თამაშობენ. გარდა ამისა, მინდოდა ისეთ გუნდში მოხვედრა, სადაც სათამაშო დროის პრობლემა არ მექნებოდა. იტალიური "მონტეპასკიდან" ხომ სწორედ ამის გამო წამოვედი.

**- ახალ სეზონში ვლადივოსტოკელებს რა დონის გუნდი ეყოლებათ?**

- რუსეთის შარშანდელი ჩემპიონატი მე-6 პოზიციაზე დაასრულეს. მომავალ სეზონში ერთი-ორი საფეხურით წინ წაწევას აპირებენ. ამისთვის არაერთი ძლიერი კალათბურთელი უკვე დაიმატეს. ვნახოთ, ერთი წლით რუსეთში ვითამაშებ, შევხედავ, რა დონის ჩემპიონატია და სეზონის ბოლოს გადავწყვეტ, დავრჩე თუ არა რუსეთში.

**ვაჟა სიმონიშვილი**



პეტრი კოპონენი

# ფინეთი ბრიტანეთზე ძლიერია

ფინეთის ნაკრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოზე არანაკლებადაა მომზადებული. სუომელებმა ხორვატიის საერთაშორისო ტურნირზე ბრიტანეთის ნაკრები თითქმის ისევე დაამარცხეს, როგორც 10 აგვისტოს ბრიტანეთმა - საქართველო. ფინელებმა კუნძულელებს 80:63 აჯობეს, ხოლო 10 აგვისტოს მატჩში ჩვენებმა 64:82 წააგეს (ნინადღით ბრიტანელებს 65:63 მოვუგეთ).

დიდი ბრიტანეთის ნაკრებთან შეხვედრაში ითამაშა **პეტრი კოპონენმა**, რომელიც ივნისში NBA-ს დრაფტზე "პორტლენდმა" აიყვანა. ახალგაზრდა ფინელი 19 ქულით მატჩის სნაიპერი გახდა. მას სამი ქულით ჩამორჩა თანაგუნდელი **შონ ჰაფი**, ხოლო **იუკა მატინენმა** 11 ქულას მოუყარა თავი. მატჩში მონაწილეობა მიიღო "ოლიმპიაში" მანუჩარ მარკოიშვილის ყოფილმა თანაგუნდელმა **ტეემუ რანიკომ**, რომელიც 6 ქულას დასჯერდა.

ფინელებმა მომდევნო თამაში მასპინძელ ხორვატებთან გამართეს და 68:103 დამარცხდნენ. სტუმრებმა **მარკო პოპოვიჩის** (22 ქულა) შეჩერება ვერ მოახერხეს, ხოლო ხორვატებს კოპონენის შეკავება გაუჭირდათ, რომელმაც 23 ქულა ჩააგდო. 17 ქულით თავი შეგვახსენა **პეტრი ვირტანენმა**.

ფინეთის ნაკრებმა ვერც ახალზელანდიელებთან მოახერხა გამარჯვება. სამხრეთი ნახევარსფეროს წარმომადგენლებმა ჩრდილოელებს 85:79 სძლიეს. მთელი თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ზელანდიელებმა მეოთხე პერიოდში მოახერხეს გარდატეხის შეტანა. ამჯერად სნაიპერობა კოპონენს შონ ჰაფმა ჩამოართვა და 22 ქულას მოუყარა თავი. მატინენმა 17 ქულა ჩააგდო, კოპონენმა - 12, ხოლო რანიკომ - 11.

ხორვატიის ტურნირზე ფინელთა შემადგენლობაში არ უთამაშია მთავარ მეფარე **ჰანო მოტოლას**, რომელმაც ამასწინათ კონტრაქტი გააფორმა **გორდონ ჰერბერტის** ახალ გუნდ "არისთან". ფინური წყაროები ჯერ არაფერს ამბობენ, ითამაშებს თუ არა მოტოლა შესარჩევ ტურნირში.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ფაცაცია ჯო ჯონსონის ნაკვალევზე



დიმიტრი ფაცაცია

ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი **დიმიტრი ფაცაცია** NCAA-ში ითამაშებს, თანაც პირველი დივიზიონის კლუბ "არკანზას რაზორბეკსში". კოლეჯის გუნდს ახალი სეზონისთვის ახალი მწვრთნელი ჰყავს, **ჯონ პელფრეი**. ქართველის აყვანის შესახებ სწორედ მან გამოაცხადა. *"ექვსი ფუტისა და ექვსი დუიმის სიმაღლის ქართველი ნამდვილი მსროლელია. რომელიც აუცილებლად გააძლიერებს დაცვას. მას აქვს საერთაშორისო მატჩების გამოცდილება და უთამაშია ესპანეთში. ძალიან მოხარული ვართ "ფაცა" რომ დავიმატეთ, ის მაღალი მცველია და აუცილებლად დაგვეხმარება საშუალო მანძილიდან სროლებში. ქართველი მშრომელი ბიჭია, რაც მას ჩვენთან დიდ მომავალს უსახავს"*. დიმიტრი ზაფხულში 19-წლამდელთა შეკრებაზე დაშავდა, რის გამოც ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე მის გარეშე ითამაშა. საქართველოში მას სსუ-ში უთამაშია, ესპანეთში - "არონასა" და "ბარსელონას" ჭაბუკთა გუნდებში. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში მას ფორვარდად ათამაშებდნენ, კიდევ ერთი განსხვავება ამერიკასთან ისაა, რომ მას ამერიკაში ოფიციალური სახელით, ლევანით მოიხსენიებენ.

"არკანზას რეიზორბეკსი" (გულშემატკივრები "ტახებს" ეძახიან) პირველი დივიზიონის სამხრეთ-აღმოსავლეთის კონფერენციის დასავლეთ დივიზიონში თამაშობს. გუნდის არენა "ბად უოლტონ არენა" 19 200 მაყურებელს იტევს. გუნდი ძალზე ძლიერია, 1994 წელს "ტახები" NCAA-ის ჩემპიონი იყო, ოთხთა ფინალში "არკანზასი" ექვსჯერ არის გასული. NBA-ში ახლა "არკანზასის" აღზრდილი ოთხი კალათბურთელი თამაშობს: "ატლანტას" ლიდერი **ჯო ჯონსონი, ჯანერო პარგო, კორლის უილიამსონი და რონი ბრივერი.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
B დივიზიონი

25 აგვისტო
საქართველო vs ავსტრია
დასაწყისი: 19.00

2 სექტემბერი
საქართველო vs ფინეთი
დასაწყისი: 19.00

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK

GEOSPORT
ვარაზი
HOTEL VARAZI

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უნივერსიადა



თათია დონაძე



ქეთი ხატიაშვილი

მხატვრული ტანვარჯიშში

### მეთოთხმეტე და მეთვრამეტე

უნივერსიადაში ქართველი მხატვრული ტანმოვარჯიშეებიც ჩაერთნენ. პირველ დღეს ასპარეზობა მრავალჭიდის ორი საგნით, სახტუნაოთი და რგოლით ვარჯიშში გაიმართა. უნივერსიადაზე თითქმის ყველა წამყვანი სატანვარჯიშო ქვეყნის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას. ბანგკოკში 22 ქვეყნის 37 ტანმოვარჯიშემ მოიყარა თავი. ელიტას მხოლოდ ბულგარელთა გუნდი აკლია.

ასპარეზობა სახტუნაოთი ვარჯიშით გაიხსნა, სადაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა **თათია დონაძემ** 15,450 ქულა მიიღო, რაც მეთერთმეტე შედეგი გამოდგა. ამავე საგანში 15,250 ქულა დაიმსახურა ქეთევან ხატიაშვილმა და მე-14 ადგილი დაიკავა. ჩვენს ორივე ტანმოვარჯიშეს შედარებით უარესი შედეგი ჰქონდა რგოლით ვარჯიშში. დონაძემ 15,175 ქულა მიიღო, რაც ამ საგნით ვარჯიშში მე-14 მაჩვენებელია. ორი საგნის ჯამშიც თათია 30, 625 ქულით მე-14 ადგილზე დამკვიდრდა.

მე-18 ადგილზეა პირველი დღის შემდეგ ქეთევან ხატიაშვილი. რგოლით ვარჯიშში მან 14, 575 ქულა (22-ე ადგილი) დაიმსახურა. ჯამში კი 29, 825 ქულა აქვს. დღეს შეჯიბრება დარჩენილ ორ საგანში, გურზებითა და ბაფთით ვარჯიშში გაიმართება. ამით მრავალჭიდის ჩემპიონი გამოვლინდება, ბოლო დღეს კი ცალკეულ სახეობებს დაეთმობა.

ძიუდო

### ერთი მოგება ბრინჯაომდე

ქართველებისთვის ბანგკოკში მიმდინარე მსოფლიო უნივერსიადაზე გუშინდელი დღე წარუმატებელი გამოდგა. არადა, **მინდია ხომიზურს** (66) მედლამდე ერთი მოგება დააკლდა - ბრინჯაოსთვის ბრძოლაში სომეხ **არმენ ნაზარიანთან** დამარცხდა.

პირველ წრეში მისი მეტოქე ჩინელი **სიაომინ იანგი** იყო, რომელიც ძალზე იოლად - იპონით დაამარცხა. სამაგიეროდ, ეგვიპტელ **აჰმედ აბუელხერთან** ვერაფერს გახდა და მინიმალური სხვაობით - კოკათი დამარცხდა. კიდევ კარგი, ეგვიპტელი ნახევარფინალში გავიდა და ხომიზურმაც სანუგეშოში გადაინაცვლა. იქ ჯერ ბელარუსი **ალექსეი სტაუჩი** დააიპონა, მერე პოლონელ **ტომაშ კოვალსკის** იუკო-ვაზარით სძლია, ტაივანელ **სუნგ სუნგ-შიაოსაც** დიდი უპირატესობით აჯობა, მაგრამ დამამშვიდებლის ფინალში ვერაფერს გახდა სომეხ ევროპის ჩემპიონი არმენ ნაზარიანთან.

მეორე ქართველი - **ბექა ბაიდაური** (73) პირველივე შეხვედრაში დამარცხდა უზბეკ **მუმინ ნაბიევთან**. მერე ამანაც წააგო და ჩვენებურიც წარუმატებლად დაემშვიდობა ტურნირს.

დღეს ძიუდოისტთა ტურნირზე პირად პირველობაში ბოლო დღეა. ჩვენგან ტატამზე გავა **ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60), რომელიც პირველ შეხედრას უკრაინის ეროვნული ნაკრების წევრ **მაქსიმ კოროტინთან** ჩაატარებს. ძიუდოისტთა ტურნირი ზეგ დამთავრდება გუნდური პირველობით.

**ირაკლი თავაძე**

## თარიღი

**ევგენი გაგუა.** 16.08.1926, თბილისი - 20.10.2000, თელ-ავივი (ისრაელი). მძლეოსნობა, მწვრთნელი. იყო საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან: მაია აზარაშვილი, ბესიკ გოცირიძე, ზურაბ მემარნიშვილი. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი (1989-92). საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

**ემზარ ბედინეიშვილი.** დაიბადა 16.08.1975, თბილისი. თავისუფალი ჭიდაობა (69 და 74 კგ). ევროპის ჩემპიონი (2000) და ორგზის მესამე პრიზიორი (1999, 2003). 2000 წლის სიდნეის (XVII ადგილი) და 2004 წლის ათენის (X ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. 2002 წლიდან ასპარეზობს საბერძნეთის სახელით (ემზარიოს ბეტინიდისი).

## ჭადრაკი

### ლიდერობა შეინარჩუნა

რუმინულ პრედიალში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში მეხუთე ტურის პარტიები გაიმართა. ოთხი ტურის შემდეგ, ორ მონაწილესთან ერთად, ოთხი ქულით **ლელა ჯავახიშვილი** ლიდერობდა, **სოფიო გვეტაძე** კი სამი ქულით მეორე ათეულის ზღვართან იყო.

ლელას მეხუთე ტურში პირველი ნომერი **ანდრეი ისტრატესკუ** ჰყავდა მეტოქედ, თანაც შავი ფერით უწევდა თამაში. თუმცა შესანიშნავ ფორმაში მყოფმა ჯავახიშვილმა უძლიერეს მეტოქეს არაფერი დაუთმო, თავი მშვენივრად დაიცვა და არ წააგო. წააგო კი არადა, შესაძლო იყო, ემარჯვა კიდეც. რუმინელმა დიდოსტატმა თავიდანვე აშკარა უპირატესობას ვერ მიაღწია, ამიტომ შეტევისთვის პაიკი შესწირა, შემდეგ მეორეც გაუყენა მის გზას და კომპენსაციაც მიიღო, მაგრამ არა ისეთი, რომლის უგულებელყოფა არ შეიძლებოდა. ლელა თავს მშვენივრად იცავდა და ოდნავაც რომ შენელებულიყო მეტოქის შეტევა, კონტრიერიშზე გადასვლა და გამარჯვება არ იქნებოდა რთული. თუმცა ამ საქმეში მას ხელს ის გარემოება უშლიდა, რომ როქის გაკეთება ვერ მოასწრო.

ერთი დრო, რუმინელმა თითქოს გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა და ქართველს მატერიალური დანაკარგები უნდა განეცადა, მაგრამ ლელამ ხარისხის გონივრულად შესწირა, მეტოქის იერიში ჩააცხრო და თავად გადავიდა შეტევაზე. თეთრებმა ერთი პაიკი დაიბრუნეს, შემდეგ ხარისხიც დააბრუნეს და პარტიაც გათანაბრდა. ბოლოს ყაიმი დაფიქსირდა - დაფაზე ოთხი პაიკი და სხვადასხვა ფერის კუ აბსოლუტურად სიმეტრიულად იდგნენ, - ასეთ შემთხვევაში მოგება შეუძლებელია...

სამწუხაროდ, წააგო გვეტაძემ, სამი ქულა დაურჩა და ცხრილის შუაგულში ჩაიწია. ჯავახიშვილმა კი ლიდერთა სამეულში შეინარჩუნა ადგილი, რადგანაც პირველ შვიდ დაფაზე ყველამ ქულა გაიყო. ტურნირს 4.5 ქულით ლელა ჯავახიშვილი, **ალინ ბერესკუ** და **პაველ იარაცი** ლიდერობენ. მეექვსე ტურში ლელა კვლავ შავებით თამაშობს და მეტოქედ იარაცი ჰყავს; გვეტაძეს ასევე შავი ფერი აქვს და **მარიან პეტერსონის** შეტევების მოგერიება მოუწევს.

**ზვიად შათირიშვილი**

## ფრენბურთი

მსოფლიო ტური

### ქალების მოგება-წაგება

ფინეთის ქალაქ ალანდში მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი დაიწყო. პირველ დღეს ასპარეზობაში ქალები ჩაერთნენ. ჩვენი პლაჟბურთელები პირდაპირ ძირითად ბადეში მოხვდნენ და სტარტიც წარმატებულად აიღეს. **საქა-რთველომ** პირველი შეხვედრა მასპინძლებთან **ლეჰტონენისა და ეტელნაჰოს** წინააღმდეგ გამართა და ორ სეტში გაიმარჯვა 21:16, 21:12. მეორე მატჩში თამაში ჩვენს ფრენბურთელებს ტრადიციულად უხერხული მეტოქის, ბერძნული დუეტის **კარადასიოუსა და არვანითის** წინააღმდეგ მოუწია. როგორც მოსალოდნელი იყო, ამჯერადაც გამარჯვება მოწინააღმდეგეს დარჩა - 0:2 (10:21, 10:21).

დღეს საქა-რთველო შვეიცარიელებს **კუნსა** და **შვერს** დაუპირისპირდება. ჩვენს ფრენბურთელებს წაგების უფლება არ აქვთ. დღესვე გამართავს პირველ შეხვედრას ვაუთა შორის **გეორ-გია**.

**ბესიკ ჯანგავაძე**




საქა-რთველო

## ჩოგბურთი

### შაფათავა ძირითად ბადეშია

18 წლის **სოფიო შაფათავა** (602) პენზის საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გავიდა. საკვალიფიკაციო ტურნირში მე-4 ნომრად განთესილმა ჩოგბურთელმა გზიდან მესამე მეტოქეც ჩამოიცილა, თუმცა რუსი **მარია ჟარკოვას** (682) ძლევა გაუჭირდა - 6:4, 4:6, 6:3. ბადეში ჟარკოვაც მოხვდა, იღბლიანი დამარცხებულის სტატუსით. ძირითად ბადეში ჩვენებურს სერიოზული მეტოქე ჰყავს, მესამე ნომრად განთესილი, 21 წლის რუსი **ანა ლაპუშჩენკოვა** (263). წყვილთა თანრიგში სოფიო შაფათავა უკრაინელ **ფარიდა კარაევასთან** ერთად იასპარეზებს.

### გერმანიაში მოგებით დაიწყეს

გუშინ მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) პირველ ნომრად განთესილმა **ლადო ჩიხლაძემ** იოლად დაამარცხა "უაილდ ქარდით" მიწვეული გერმანელი **ალექსანდარ ბაინი** - 6:2, 6:4. მერვედფინალში ლადო გერმანელ **მარკ ზიბერს** (710) შეხვდება. წყვილთა თანრიგში ჩიხლაძე და მისი მეწყვილე ყაზახი **სირიმ აბდუხალიკოვი** (587) უკვე ნახევარფინალში არიან. მეოთხედფინალში მათ მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს ბაინი და **მაიკ შტაინჰერი** - 6:2, 4:6, 7:6. ნახევარფინალში მათი მეტოქე მეორე ნომრად განთესილი გერმანული წყვილი (**კლირი, პიამონკოლი**) იქნება.

**მანანა შაფაქიძემ** გერმანიის ქალაქ ბილეფელდში ქალთა საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) თამაში წარმატებით დაიწყო, მან გერმანელი **იულია ბაბილონი** დაამარცხა - 6:3, 6:4. მერვედფინალში შაფაქიძის მეტოქეა რუმინელი **ანამარია სერე** (628), რომელიც ტურნირზე მერვე ნომრადაა განთესილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქართული ჭიდაობა

### რაჭაში იმერლებმა იყოჩაღეს

საუკუნის წინანდელი სურათია: დარბაზში დინჯად გამოდიოდა ათლეტურად ალნაგი ულვაშგადაგრეხილი ჩოხიანი ქართველი. ცალ ხელს ხანჯლის ტარს დაადებდა, მეორეს გულთან მიიტანდა და საზოგადოებას მდაბლად თავს დაუკრავდა. მკლავს გაშლიდა, საჭიდაო წრეს ცეკვით შემოუვლიდა, როგორც წესი, ასეთი სცენარითვე ასრულებდა თავის შერკინებას. ლეგენდარული ფალავანი **კოსტა მაისურაძე** (1881-1918) ის უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოდიოდა სხვადასხვა ქვეყნის სარბიელზე.

"კავკასიის სილამაზე და სიამაყე" - ასე აცხადებდა არბიტრი "ძია ვანია" (ივან ლებედევი) სარბიელზე კოსტას გამოსვლისას. 1908 წლის 29 ივნისს, მთავრობის ნებართვით და ქართული ჭიდაობის დიდოსტატის **ნესტორ ესებუას** თაოსნობით დაბა ახალსენაკში პეტრეპავლეს იარმუკაზე გაიმართა კოსტა მაისურაძის ბენეფისი. სხვათა შორის, ამ დღეს კოსტამ მხარზე 120 ფუთიანი რელსი გაიდო და აქეთ-იქით 30 კაციც ჩამოიჯინა... ქართული და ფრანგული ჭიდაობის გარდა იმდროინდელ "ცირკებში" ასეთ ძალისმიერ ნომრებსაც ასრულებდნენ პროფესიონალი მოჭიდავეები.

ახალსენაკის ბენეფისიდან თითქმის 100 წლის შემდეგ კოსტას მშობლიურ რაჭაშიც მოუწყვეს ბენეფისი. გასულ უქმეებზე ონში შურა მაისურაძის სახელობის საჭიდაო დარბაზში ("ცირკში") გაიმართა კოსტა მაისურაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

ასპარეზობაში საქართველოს 10 რაიონისა და ქალაქის მოჭიდავეები გამოდიოდნენ.

ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: **იოსებ ჭოლაძე** (60), **ზურაბ შერვაშიძე** (65), **მინაგო ტყეშელაშვილი** (70), **ზვიად ბაზანდარაშვილი** (75), **პაატა ლვინიაშვილი** (80), **გიორგი მამრიკიშვილი** (85), **გოდერძი ჯავახაძე** (90), **დავით ცინცაძე** (+90). რვა გამარჯვებულიდან ორი - ბაზანდარაშვილი და ლვინიაშვილი გორელია. დანარჩენები - ქუთაისელები. ტურნირს კოსტა მაისურაძის მშობლიური სოფლის ცხმორის მკვიდრნიც ესწრებოდნენ.

**ბესიკ გაბოძე**

## კალათბურთი

ეს საინტერესოა

# ბებრების ცირკი

გუნდი გუნდად და ვარსკვლავები გუნდურ მოთამაშეებად – ეს პრინციპი დიადმა **რედ აუერბახმა** თავის დროზე ლეგენდად ქცეულ "ბოსტონ სელტიქსში" იმდენად წარმატებულად გაატარა, რომ პროფესიული ზელიგის ისტორიაში საუკეთესო გუნდად სწორედ მაშინდელ, **ბობ კოუზისა და ბილ რასელის** "სელტიქსს" მიიჩნევენ, ხოლო აუერბახი კი უდიდესი თავკაცია და ალბათ, სამუდამოდ ასეთად დარჩება.

ის, რომ მხოლოდ სახელები და თუნდაც, კარგ ფორმაში მყოფი დიდმასშტაბიანი მოთამაშეები საბოლოო შედეგზე ყოველთვის გავლენას ვერ ახდენენ, 2004 წლის სუპერფინალმაც დაამტკიცა. მაშინდელმა "ლეიკერსმა" **შაკილ ონილსა და კობი ბრაიანტს** გარი პეიტონი, კარლ მელოუნი და კიდევ რამდენიმე ვეტერანი შემატა, მაგრამ სერია "დეტროიტ პისტონზის" დამაჯერებელი, 4:1 გამარჯვებით დასრულდა, რამაც ზემოთ ნათქვამს ხაზი ერთხელაც გაუსვა.

დღეს, ამერიკაში მოდად იქცა ბებერი, ჩვენთვის უმოტივაციო, ხოლო ამერიკელებისთვის კი მოტივაციით სავსე ბებრების ხელის გულზე ტარება, რისი მაგალითიც წინა კვირას **პენი ჰარდევეის** "მაიამი ჰიტში" გადასვლა იყო. დღე-დღეზე **ალან ჰიუსტონი** "დალას მავერიქსს" მიაშურებს, ხოლო **რეჯი მილერს** კი "სელტიქსი" ჩააცივდა, მოდი ჩვენთან და **კევინ გარნეტთან, პოლ პირსთან** და **რეი ალენთან** ერთად შევსვათ შამპანური ჩემპიონის თასიდანო. მოდით, ერთად გადავხედოთ რამდენიმე პენსიონერის დაბრუნების შანსებს, დასკვნები კი თავად გამოიტანეთ.

### რეჯი მილერი

**დაბრუნების შანსები:** 25 პროცენტი

24 აგვისტოს რეჯი მილერი 42 წლის ხდება და მისივე თქმით, ბოლო 4 თვის განმავლობაში სადღაც 14 (!) კილოგრამი აქვს მომატებული, თუმცა "ბოსტონს" ეს ნაკლებად ადარდებს. "სელტიქსი" მოთამაშეებს მაქსიმალურად იაფად ეძებს, რაკიღა ზემოთ ნახსენებმა სამეულმა დაწესებული სახელფასო ლიმიტის 85 პროცენტი შესანსლა. მილერს ვეტერანის ხელფასს სთავაზობენ, თუმცა მაინც გვგონია, რომ რეჯი "ბოსტონის" ტრიოს ერთ, არანაკლებ საინტერესო ტანდემს ამჯობინებს. საუბარია **სერ ჩარლზ ბარკლისა და კენი სმიტის** წყვილზე, ამ "ტვიქსის" წევრები ერთბაშად რამდენიმე ტელეარხზე ანალიტიკოსებად მუშაობენ.

### პენი ჰარდევეი

**დაბრუნდა**

**პენი ჰარდევეი** "ყველა ვარსკვლავის" მატჩის ოთხგზის მონაწილეა და "მხოლოდ" 36 წლის არის, თუმცა ძალიან სკეპტიკურად ვაფასებთ "ჰიტის" ახალ შენაძენს. ჰარდევეის ფეხები აღარ უვარგა (რაც ეს კაცი ჭრეს და კერეს!), დაცვაში იგი ყოველთვის ყალთაბანდი და არაფრის მაქნისი იყო, ხოლო "მაიამის" კი მასში რამდენიმე მილიონის დახარჯვას **ჯეიმს პოუსისთვის** ფულის გადადება ერჩივნა. ტრანსფერი ვერ გაამართლებს.

*"პენი ჩვენი საჩემპიონო გუნდის წამყვანი ფიგურა უნდა გახდეს. რა თქმა უნდა, შაკისა და დუეინის მერე"*, - ამბობს პატ რაილი. რა, ჰარდევეი პოუსიზე, **ანტუან უოკერზე** ან "ჰიტის" შარშანდელი შემადგენლობიდან რომელიმე მოთამაშეზე დიდ საფასურს წარმოადგენს? საეჭვოა.

### ალან ჰიუსტონი

**დაბრუნების შანსები:** 75 პროცენტი

ორი წლის წინათ **ალან ჰიუსტონი** მარცხენა მუხლში სითხის ჩადგომის მიზეზით პროფესიულ კალათბურთს გამოეთხოვა, ნიუ იორკსა და დეტროიტში მას საპატიო გაცილებაც კი მოუწყვეს, მაგრამ ალანს, მისივე თქმით, სურს ყველას დაუმტკიცოს, რომ მას ჯერ კიდევ არ ამოუწურავს თავისი პოტენციალი და დაბრუნება 100 პროცენტით აქვს გადაწყვეტილი. საინტერესოა, რაში დასჭირდა ამბიციურ "მავერიქსს" ეს ბიჭი, რომელიც ახლა ისეა, რომ დაცვაში **ბრენტ ბერისაც** კი ვერ დაიჭერს. სამიანების ჩაგდება კარგი ამბავია, მაგრამ სხვა? ალანის ფასი ნულის ტოლია, მაგრამ **მარკ კიუბანი** სხვაგვარად ფიქრობს.

### სკოტი პიპენი

**დაბრუნების შანსები:** 1 პროცენტი

ეს კაცი თუ დამბრუნებელი იყო, შარშან უნდა გამოეყენებინა თავისი შანსი, როდესაც **სკოტი პიპენის** აყვანა ერთდროულად "სან ანტონიოსა" და "ლეიკერსს" სურდათ. მან "სპურსი" ეგრევე დაიწუნა, **ფილ ჯექსონს** კი უთხრა სამი თვე მადროვე და პასუხს მერე გაგცემო. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ჯექსონს საერთოდ გადაავიწყდა კაცი, ვისთან ერთადაც "ბულზში" 6 ჩემპიონობა მოიპოვა. სკოტის ერთადერთი იმედი მისი კიდევ ერთი ყოფილი გუნდი "ტრეილ ბლეიზერსია", სადაც მას გრეგ ოდენთან თამაშის შანსი მიეცემა. ორეგონელებმა მასთან თანამშრომლობის სურვილი არაერთხელ გამოთქვეს.

### ჩარლზ ოუკლი

**დაბრუნების შანსები:** 5 პროცენტი

არ გაინტერესებთ, დღეს რით არის დაკავებული **ჩარლზ ოუკლი**? რით, და საკუთარ ვულკანიზაციაში მუშაობს, მსურველებს კი ავტოგრაფებს ურიგებს. ჩარლზმა აღნიშნა, ჩემი დამატება "მილუოკის", "კლივლენდსა" და "დალასს" სურთო, თუმცა ამ გუნდებიდან მისდამი ინტერესი არცერთს არ დაუდასტურებია. ჩარლზი ძალიან ძლიერი, თავისი დეკადის ერთ-ერთი საუკეთესო ინდივიდუალური დამცველი იყო, მაგრამ დაბრუნების მოტივაცია არ უნდა ჰქონდეს შერჩენილი. თანაც, ოუკლი ყოველთვის მაგარი მოლადავე იყო...და ალბათ, ყველაფერი ასეთ დონეზევე დარჩება.



### შონ კემპი

**დაბრუნების შანსები:** 10 პროცენტი

"რეინ მენი", ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ჩატენვის მქონე მოთამაშე, რომელიც ამასთან ერთად გამოუსწორებელი ნარკომანი, თაღლით-თი და აფერისტი ყოფილა. შონ კემპი "სიეტლის" ფანებისთვის დაახლოებით იგივე იყო, რაც **მაიკლ ჯორდანი** "ჩიკაგოსთვის", თუმცა იგი ჩემპიონი ერთხელაც ვერ გახდა. მერე კი იყო კარგი სეზონი "კავალიერსში", სადაც შონი კიდევ ერთი არამზადის, ლოთი **ვინ ბეიკერის** სანაცვლოდ გაუშვეს, უჯიგრო თამაში "პორტლენდში" და ასევე უნიათო დასასრული.

შონს თუ დააბრუნებენ, წამხდარა ეს ქვეყანა და სულ მთლად გაუფერულებულა ზელიგა, მაგრამ არ დაიჯეროთ, კემპის აყვანის მსურველი თუ ვინმე გამოჩნდა, მაქსიმუმ ფორვარდებს ჩააბარებენ, მოედანზე გასვლა კი არარეალურია, თუმცა ჩვენი ამერიკელი კოლეგები ამტკიცებენ, მისტერ კემპს "ტორონტოსთან" წინასწარი ხელშეკრულება აქვს გაფორმებულიო.

**ზურაბ თალაკვაძე**

## ცხელი ხაზი

### ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

**ტულუზი (საფრანგეთი)–ლივერპული (ინგლისი) 0:1**

**ტულუზი:** დუშე, ჩეტო, ებონდო (83. მუს. სისოკო), ფოფანა, მატიო, პაულო სეზარი (69. ჟინიაკი), დიოზი, ემანა, სირიე, ბერგუნიუ (46. მანსარი), ელმანდერი.

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, ფინენი, ჰიიპია, ბენაიუნი (59. რიისე), ჯერარდი (65. მოჰ. სისოკო), მასკერანო, ბაბელი, კრაუჩი, ვორონინი (78. ფერნანდო ტორესი).

**გოლი:** 0:1 ვორონინი (43)
**გაფრთხილება:** 3-0
**მაყურებელი:** 36 000

**სპარტაკი (რუსეთი)–სელტიკი (შოტლანდია) 1:1**

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, შიშკინი, შტრანცლი, ბისტროვი (76. კალინიჩენკო), კოვაჩი, მოცარტი, სოავა, ტიტოვი, ტორბინსკი, პავლიუჩენკო, ველიტონი.

**სელტიკი:** მ. ბრაუნი, კენედი, მაკმანუსი, ნეილორი, უილსონი, ს. ბრაუნი, დონატი (74. სნო), ჰარტლი, ნაკამურა, მაკდონალდი (79. კოლდუელი), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (82. მაკგიდი).

**გოლები:** 0:1 ჰარტლი (21), 1:1 პავლიუჩენკო (42)
**გაფრთხილება:** 1-2
**მაყურებელი:** 67 000

**ტამპერე (ფინეთი)–რუსენბორგი (ნორვეგია) 0:3**

**ტამპერე:** კავენი, იარვინენი, ლინდსტრიომი, ჰინინენი (71. ნვოკე), კუიალა, ნიემი, საარინენი, სავოლაინენი, ვისი, პეტრესკუ (87. ჰიელმი), პოჰია.

**რუსენბორგი:** ჰირშფელდი, ბასმა, დორსინი (85. კვარმე), კოპინენი, რიზეტი, სტოორი, საპარა, ტეტეი, ტრაორე (90. კონანი), ივერსენი (26. სტორფლორი), კონე.

**გოლები:** 0:1 კოპინენი (20), 0:2 კონე (22), 0:3 კონე (82)
**გაფრთხილება:** 1-1
**მაყურებელი:** 16 400

**ბატე (ბელარუსი)–სტიაუა (რუმინეთი) 2:2**

**ბატე:** ფიოდოროვიჩი, ფილიპენკო, კაზანცევი, ხაგუში, რადკოვი, ერმაკოვიჩი (69. ჟავრანჩიკი), ლიხტაროვიჩი (53. კრივეცი), პ. პლატონოვი (83. სივაკოვი), სტასევიჩი, ბლიზნიუკი, დ. პლატონოვი.

**სტაიუა:** საპატა, გოიანი, გოლანსკი, მარინი, რადა (61. ლოვინი), რადოი, კროიტორუ (54. ბიჩფალვი), დიკა, პლესანი, ნეაგა, ნიკოლიცა (74. ზაჰარია).

**გოლები:** 1:0 რადკოვი (40), 1:1 გოიანი (58), 1:2 დიკა (84), 2:2 ბლიზნიუკი (90)
**გაფრთხილება:** 1-3
**მაყურებელი:** 5 300

**სარაევო (ბოსნია)–დინამო (უკრაინა) 0:1**

**სარაევო:** ალაიმი, ბაზიჩი, ჰაჯიჩი (46. რეპუხი), მილოშევიჩი, სარაბა, ბუკანი (57. მეზიჩი), ჯაკმიჩი, გრუიჩი, მაკსიმოვიჩი, მუჰამეროვიჩი, რაშიჩი (67. ტურკოვიჩი).

**დინამო:** შოვკოვსკი, დიაკიტი, გავრანჩიჩი, მარკოვიჩი, და სილვა, ნესმაჩნი, კორეა, გუსევი (63. ნინკოვიჩი), მიხალიკი, რებროვი, შაცკიხი (67. კლებერი).

**გოლი:** 0:1 შაცკიხი (12)
**გაფრთხილება:** 0-1
**მაყურებელი:** 28 000

**ფენერბაჩე (თურქეთი)–ანდერლეხტი (ბელგია) 1:0**

**ფენერბაჰჩე:** სერდარი, დენიზი, რობერტო კარლოსი, ლუგანო, ონდერი, ალექსი (83. ბილგინი), აურელიო, ედუ, თუმერი (59. უგური), დეივიდი, კეჟმანი.

**ანდერლეხტი:** ციტკა, დე მანი, დეშახტი, ჟუჰაში, ვასილევსკი, ბილია, ბუსუფა (83. ლეგარი), გოორი, ჰასანი, პოლაკი, ჩიტე (78. მ. მპენზა).

**გოლი:** 1:0 ალექსი (32)
**გაფრთხილება:** 1-1
**მაყურებელი:** 40 000

**ციურიხი (შვეიცარია)–ბეშიქთაში (თურქეთი) 1:1**

**ციურიხი:** ლეონი, სეზარი (84. ჰასლი), როშა, შტაპელი, ტიჰინენი, ფონ ბერგენი, აბდი, ეგერტერი (46. ოკონკვო), შიხაუი, ალფონსი, რაფაელი.

**ბეშიქთაში:** ჰაქანი, სერდარ ქურთულუსი, იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზულმეზი, გოქთანი, სისე, დელგადო (78. ილმაზი), სერდარ ოზქანი, რიკარდინიო (62. მუსტაფა), ალი (46. იბრაჰიმ აქინი), დეივსონი.

**გოლები:** 0:1 დელგადო (3), 1:1 ალფონსი (90)
**გაფრთხილება:** 4-4
**მაყურებელი:** 14 000

**ზალცბურგი (ავსტრია)–შახტარი (უკრაინა) 1:0**

**ზალცბურგი:** ოხსი, დუდიჩი, კოვაჩი, მიამოტო, იბრაჰიმი, აუფჰაუზერი, კარბონი, ლაიტგები, შტაინჰოფერი, ფონლანტენი (90. პიტაკი), ციკლერი (85. ლოკვენცი).

**შახტარი:** რიატოვი, ჩიგრინსკი, ილსინიუ (82. ლევანდოვსკი), კუჩერი, რაცი, დულიაი, ფერნანდინიო, ჟადსონი (70. ვუკიჩი), სრნა, ბრანდაუ (74. ლუკარელი), გლადკი.

**გოლი:** 1:0 ციკლერი (10-პენ)
**გაფრთხილება:** 4-2
**მაყურებელი:** 26 000

**ვერდერი (გერმანია)–დინამო (ხორვატია) 2:1**

**ვერდერი:** ვიზე, ანდრეასენი (46. იენსენი), მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, შულცი, ბაუმანი, კარლოს ალბერტო (74. ჰარნიკი), დიეგო, შინდლერი (46. უგო ალმეიდა), სანოგო.

**დინამო:** კოხი, კალე, დრპიჩი, ეტო, შილდენფელდი, სამირი (89. გუელა), მოდრიჩი, პოკრივაცი, ვუკოევიჩი, ბალაბანი, სოკოტა (38. მანჯუკიჩი).

**გოლები:** 0:1 ბალაბანი (43), 1:1 უგო ალმეიდა (47), 2:1 იენსენი (85)
**გაფრთხილება:** 1-3
**მაყურებელი:** 26 136

**აიაქსი (ჰოლანდია)–სლავია (ჩეხეთი) 0:1**

**აიაქსი:** სტეკელენბურგი, კოლინი, ემანუელსონი, ჰეიტინგა, სტამი, ვერმალენი, ბაქიროღლუ, გაბრი, სუარესი (72. ურსაისი), ჰუნტელაარი, რომედალი (82. სარპონგი).

**სლავია:** ვანიაკი, ბრაბეცი, დრიჟდალი, იანდა (86. ბელაიდი), კალივოდა (80. ვოლეშაკი), კრაიჩიკი, სუჩი, შვეცი, ტავარესი, შენკერიკი, ვლჩეკი (89. გაუჩო).

**გოლი:** 0:1 კალივოდა (76-პენ)
61-ე წუთზე ჰუნტელაარმა ვერ გაიტანა პენალტი
**გაფრთხილება:** 3-3
**მაყურებელი:** 35 000

**სპარტა (ჩეხეთი)–არსენალი (ინგლისი) 0:2**

**სპარტა:** პოსტულკა, აბრაჰამი, ჰუსეკი, კადლეცი, კლადრუბსკი, რეპკა (36. ბრეჟინსკი), ჰორვატი (86. ლიმბერსკი), პოსპეში, დოშეკი, კულიჩი, რეჟეკი (59. მატუსოვიჩი).

**არსენალი:** ლემანი, კლიჩი, ებუე, გალასი, სანია, კოლო ტურე, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, როსიცკი (80. სონგ ბილონგი), ვან პერსი.

**გოლები:** 0:1 ფაბრეგასი (72), 0:2 გლები (90)
**გაფრთხილება:** 2-3
**მაყურებელი:** 19 586

**სევილია (ესპანეთი)–აეკ (საბერძნეთი) 2:0**

**სევილია:** პალოპი, ბულარუზი (46. დირნეი), დრაგუტინოვიჩი, ფაციო, ჰინკელი, დიეგო კაპელი, მარესკა (46. კეიტა), პოულსენი, ლუიშ ფაბიანო (70. მარტი), კანუტე, ნავასი.

**აეკ:** მარსელო, არუაბარენა, დელასი, ჟერალდო, ნსალივა, რამოსი (61. კაფესი), ზიკოსი (90. ტოშერი), ჟულიო სეზარი, ლიბეროპულოსი, მანდუკა, რივალდო (66. კონე).

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (48), 2:0 კანუტე (65)
**გაფრთხილება:** 1-2
**მაყურებელი:** 46 000

#### საფრანგეთი
**I ლიგა. III ტური**

| | |
|---|---|
| ვალანსიენი-მარსელი | 2:1 |
| ლილი-სოშო | 1:1 |
| ბორდო-ლე მანი | 1:2 |
| პსჟ-ლორიანი | 1:3 |
| მონაკო-მეცი | 2:0 |
| სტრასბური-ოსერი | 3:0 |
| რენი-სტ. ეტიენი | 1:0 |
| ნანსი-ნიცა | დღეს |

#### შოტლანდია
**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| არბროა-ალოა | 2:0 |

#### სლოვენია
**გამოტოვებული მატჩი**

| | |
|---|---|
| ლივარი-დომზალე | 0:1 |

#### იტალია
**თასი. I ეტაპი**

| | |
|---|---|
| აველინო-ასკოლი | 0:2 |
| ტრიესტინა-მანტოვა | 1:0 |
| ტრევიზო-ლეჩე | 2:2 პენ. 4:3 |
| ბარი-ალბინოლეფე | 1:0 |
| ჯენოა-გროსეტო | 2:1 |
| რავენა-კიევო | 1:0 |
| პიზა-ბრეშა | 2:1 |
| ნაპოლი-ჩეზენა | 4:0 |
| რიმინი-ფროზინონე | 6:0 |

#### ამხანაგური თამაშები

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ბარსელონა | 0:1 |
| კასტელონი-მურსია | 0:0 |
| ლას პალმასი-ლევანტე | 1:2 |
| ბეტისი-რეალი | 1:0 |

#### ჩოგბურთი
**ATP. სინსინატი**

| | |
|---|---|
| ანჩიჩი-მელცერი | 3:6, 6:2, 6:7 |
| ბლეიკი-კიფერი | 6:4, 6:4 |
| გასკე-ჰიუიტი | 1:6, 2:6 |
| გონსალესი-ფერერო | 2:6, 6:7 |
| ჯოკოვიჩი-მოია | 4:6, 1:6 |
| კოლშრაიბერი-დელ პორტო | 1:6, 6:2, 4:6 |
| ლიუბიჩიჩი-ალმაგრო | 4:6, 4:6 |
| ფერერი-სტეპანეკი | 6:2, 7:5 |
| იუჟნი-ქვერი | 7:5, 3:6, 4:6 |

**WTA. ტორონტო**

| | |
|---|---|
| გოლოვინი-ჩიბულკოვა | 6:4, 6:3 |
| დემენტიევა-სკიავონე | 7:6, 3:6, 2:6 |
| პეტროვა-დუბუა | 6:7, 6:2, 6:1 |
| საფაროვა-შონესი | 6:3, 4:6, 5:7 |
| საფინა-დეში | 6:1, 6:2 |
| ჩაკვეტაძე-რასანო | 6:7, 0:6 |
| შნიდერი-პენეტა | 6:3, 6:2 |

## TV სპორტი

### 16 აგვისტო. ხუთშაბათი

**იმედი**

18:00. უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი. დინამო-რაპიდი (Live)

**EUROSPORT**

10:30 ყველა სპორტი. სპორტი და იუმორი
11:00 ცხენოსნობა. სუპერლიგა. დუბლინი (ირლანდია)
12:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტულუზა-ლივერპული
13:00 ტრამპლინი. 4 ერის დიდი პრიზი. კურშეველი (საფრანგეთი)
14:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ჩემპიონთა თასი. მალაიზია. ინტერი-იუვენტუსი
15:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტულუზა-ლივერპული
17:00 ველოსპორტი. ბურგოსის ტური. მე-3 ეტაპი
18:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ტორონტოს ტურნირი. მე-3 დღე
19:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტულუზა-ლივერპული
20:00 ფეხბურთი. ევროგოლი
20:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტულუზა-ლივერპული
21:00 ფეხბურთი. უეფა-ს თასი. ჰონვედი (უნგრეთი)-ჰამბურგი
23:00 ტრამპლინი. 4 ერის დიდი პრიზი. პრაჯელატო
00:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის რალი (წინასწარი)
01:15 საბრძოლო კლუბი. მსოფლიო დიდი პრიზი. ამსტერდამი
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის რალი (წინასწარი)

**EUROSPORT2**

03:00 ახალი ამბები
03:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ტორონტოს ტურნირი. მე-3 დღე
05:00 ახალი ამბები
09:30 ახალი ამბები
12:00 მოტო GP. გერმანიის დიდი პრიზი. ზაქსენრინგი (გერმანია)
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. გეელონგ ქეტსი-ადელაიდა ქროუზი
14:00 ახალი ამბები
16:00 პლაჟის ფეხბურთი. ევრო ლიგა. ესპანეთი
17:00 სრირგრნკმსრირგრნკმ: გპთნ-აპმ ყშთ სრირ გა გრნკთ
18:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ჟურნალი
19:00 Xტრემალური სპორტი
20:00 ახალი ამბები
20:30 თავგადასავლები
21:00 ყველა სპორტი. იუმორი
21:30 ახალი ამბები
22:00 Xტრემალური სპორტი
23:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ჰონ კონგი. დომინიკელთა რესპუბლიკა-პოლონეთი
00:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ჟურნალი
01:00 ახალი ამბები
01:15 ფეხბურთი. უეფა-ს თასი. ჰონვედი (უნგრეთი)-ჰამბურგი
02:15 ახალი ამბები

**SPORT 1 (უკრაინა)**

06:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. ტულუზა-ლივერპული. I ტაიმი
08:45 მინი-მოედანი
09:00 ახალი ამბები
09:12 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა (გამეორება 15.08-დან)
10:09 ახალი ამბები
10:22 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. სპარტაკი-სელტიკი
12:09 სპორტკლუბი წარმოგიდგენთ: ლეონიდ რატნერი
12:46 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი. შანხაი, ჩინეთი. I დღე
15:17 ფიტნესი-გეგმა 88
15:43 ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. რედინგი-ჩელსი
17:33 გზა პეკინისკენ. 45
18:02 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. შტუდგარტი-შალკე 04
19:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა (გამეორება 14.08-დან)
20:44 ჩოგბურთი. მიმოხილვა
21:15 ფეხბურთი. უეფას თასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. დნეპრი-ბელხატუვი (I ტაიმი, LIVE)
22:05 ახალი ამბები
22:15 ფეხბურთი. უეფას თასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. დნეპრი-ბელხატუვი (II ტაიმი, LIVE)
23:10 ახალი ამბები
23:22 ფეხბურთი. სუდამერიკანას ტასი. ატლეტიკო პარანაენსე-ვასკო დე გამა
01:15 ახალი ამბები
01:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. შტუდგარტი-შალკე 04
03:05 გზა პეკინისკენ. 45
03:32 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი. შანხაი, ჩინეთი. I დღე
06:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა (გამეორება 15.08-დან)



ლიუ სიანი

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# ჩინელთა ერთადერთი იმედი

ჩინელი **ლიუ სიანი** 110 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენია. ერთადერთი ტიტული, რაც მის მიღწევათა გალერეას აკლია, მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალია, რომლის მოპოვებასაც ის ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე გეგმავს. ჩინელთა ნაკრების მწვრთნელ **ფენ შუიონის** თქმით, სიანი ფაქტობრივად ერთადერთი ჩინელია, ვისაც ოსაკაში ოქროს მოპოვების შანსი აქვს.

პეკინის ოლიმპიადის წინ, ჩინური სპორტი ძალიან მაღალი ტემპით ვითარდება. პეკინის ოლიმპიადაც რომ არა, ჩინური სპორტი მაინც სწრაფი ტემპით მიდის წინ, მაგრამ მძლეოსნობა მისთვის კვლავაც რჩება "აქილევსის ქუსლად". ჰოდა, მწვრთნელი ამბობს, რომ მაქსიმუმი, რასაც 57-კაციანი ნაკრებისგან ელის, სამი მედალია.

*"ჩინური მძლეოსნობა სწრაფი ტემპით ვითარდება და მსოფლიოს დონეს უახლოვდება, მაგრამ მთლიანობაში, ამ ეტაპზე, სასურველი დონიდან ჯერაც შორს ვართ. რა თქმა უნდა, წინასწარ რაიმეს თქმა ძალიან ძნელია, მაინც ვიტყვი, რომ კმაყოფილი დავრჩები, თუ ერთ ოქროს და ორ სხვა ხარისხის მედალს ავიღებთ"*, - ამბობს ფენი.

ლიუ, ვინც აზიის ჩემპიონიცაა, მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე, რომელიც ჰელსინკიში ორი წლის წინათ ჩატარდა, ვერცხლის მედალს დასჯერდა. ეს კი ჩინეთის ნაკრებისთვის ფინეთში მოპოვებული ერთადერთი მედალი გამოდგა. ამის შემდეგ, ლიუმ მსოფლიო ლიდერის პოზიცია დაიბრუნა, რის გვირგვინადაც, შარშან მსოფლიოს რეკორდი (12.88) გააუმჯობესა.

*"არ მინდა, ვინმეს რაიმე გარანტია მივცეთ, მაგრამ ოსაკაში ოქროს მოსაპოვებლად ჩავდივართ"*, - ამბობს ლიუს პირადი მწვრთნელი **სუნ ჰაიპინი** და დასძენს, რომ მისი შეგირდი ფინიშს დაახლოებით 13.00 წამში გაირბენს.

ჩინელთა ნაკრებში სულ 24 მამაკაცი და 33 ქალი მძლეოსანია შეყვანილი. რა თქმა უნდა, მათში ყველაზე გამორჩეული ლიუა. მის გარდა, მედლების მოპოვების შანსი ექნებათ მარათონელ **ჭოუ ჩუნსიუს**, ვისაც ამ სეზონში ქალ მარათონელთა შორის მსოფლიოს საუკეთესო შედეგი (ორი საათი, 20 წუთი და 38 წამი) აქვს (ამ შედეგით მან ლონდონის მარათონი მოიგო) და ჭოკით მხტომელ **გაო შუინს**, ვინც ახლახან პირადი რეკორდი 4.64 მეტრამდე მიიყვანა.

ფენი ამბობს, რომ ნაკრებში შეყვანილებიდან 38 პირველად იასპარეზებს ასეთი დონის ტურნირში, რაც მათი დაოსტატებისთვის შესანიშნავი საშუალებაა. შესაბამისად, ამ სპორტსმენებისგან ის პეკინის ოლიმპიადაზე გაცილებით უკეთეს შედეგებს მოელის.

*"ჩვენი გუნდის წევრების უმეტესობისთვის, ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატი პეკინის ოლიმპიადის წინ შესანიშნავი მოსამზადებელი ეტაპია. მეორეც, ოსაკაში ჰაერის ტენიანობა თითქმის ისეთივეა, როგორიც პეკინში. ასე რომ, ყველასთვის ეს საპეკინოდ გენერალური რეპეტიცია იქნება. მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენ გაახალგაზრდავებული გუნდი მიგვყავს და ვიმედოვნებთ, რომ ამ სპორტსმენებიდან ზოგიერთის იმედი პეკინში შეიძლება ვიქონიოთ. ამასთან, ვიმედოვნებ, რომ ოსაკაში ჩვენი ცხრა მძლეოსანი მაინც შეძლებს ფინალურ ეტაპზე ასპარეზობას"*, - ამბობს ფენი.

სხვათა შორის, ათენის ოლიმპიადაზე ჩინელებმა სულ ოქროს 32 მედალი მოიპოვეს, რომელთაგან მხოლოდ ორი მძლეოსნობაში - ლიუს გარდა, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა **სინ ჰუინა**, ვინც ოლიმპიურ ოქროს 10 000 მეტრზე სირბილში (ქალებში) დაეუფლა. მაგრამ ის ამჟამად ტრავმირებულია და ოსაკაში ასპარეზობას ვერ შეძლებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# პაუელი რეკორდს უმიზნებს

ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ას მეტრზე კაცების სპრინტი იქნება. აქ ოქროს მედლისთვის ერთმანეთს თანამედროვეობის ორი საუკეთესო სპრინტერი - მსოფლიოს იამაიკელი რეკორდსმენი **ასაფა პაუელი** და ამერიკელი **ტაისონ გეი** დაუპირისპირდება. მათი პაექრობა იმითაცაა საინტერესო, რომ არცერთს აქამდე დიდი ტურნირის (მსოფლიო ჩემპიონატი და ოლიმპიადა) ოქროს მედალი არ მოუპოვებია. სამაგიეროდ, ოსაკაში ორივე რეკორდის დამყარებას აპირებს.

ორივე სპრინტერი საბრძოლო განწყობაზეა. პაუელი არ გამორიცხავს, რომ უმაღლესი კლასის ორი სპრინტერის ჯახში შეიძლება მისი რეკორდი გაუმჯობესდეს. *"ოსაკას სტადიონს ძალიან სწრაფი სარბენი ბილიკი აქვს. ჰოდა, თუ ამინდი ხელს შემიწყობს, მაშინ მსოფლიო რეკორდის დამყარებას ვეცდები"*, - ამბობს იამაიკელი, ვინც მსოფლიო რეკორდი (9.77 წამი) ორი წლის წინათ, ათენში დაამყარა.

ასაფა რეკორდსმენი კია, მაგრამ ამ სეზონში საუკეთესო შედეგი (9.84 წამი) გეის ეკუთვნის. ეს ორი მძლეოსანი ამ სეზონში ერთმანეთს ჯერ არ დაპირისპირებია. ჰოდა, ოსაკას მუნდიალი ამითაც იქნება საინტერესო.

*"მოუთმენლად ველი მასთან დაპირისპირებას. თუმცა ჩემთვის მთავარი ოქროს მედლის მოპოვებაა"*, - დასძენს პაუელი, ვისაც იაპონიაში გამგზავრება ვიზის პრობლემის გამო, ცოტა ხნით დაუგვიანდა.



ვარსკვლავი

# ნადალის ამბიციები

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** განაცხადა, რომ არ აპირებს თავისი სათამაშო განრიგის შეცვლას იმისათვის, რათა ამ სეზონის ბოლომდე შეძლოს რეიტინგის პირველი საფეხურიდან შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** ჩამოქვეითება.

ამ ეტაპზე, ფედერერსა და ნადალს რეიტინგში 1535 ქულა აშორებთ. ეს საკმაოდ ბევრია და ძნელი წარმოსადგენია, რომ შვეიცარიელმა ეს უპირატესობა სეზონის ბოლომდე დათმოს. ცნობისათვის, რეიტინგში ჩოგბურთელებს ქულები ეწერებათ დიდი სლემის, მასტერსის სერიის, ასევე რიგით ტურნირებზე ნაჩვენები შედეგების შესაბამისად. ამასთან, რიგითი ტურნირებიდან რეიტინგის ჩათვლაში ხუთი საუკეთესო შედეგი მიდის.

ნადალი არ მალავს, რომ სეზონის ბოლოს პირველი ჩოგნის რანგში ყოფნა სურს, თუმცა ამის გამო, ისედაც გადატვირთულ სათამაშო გრაფიკის კიდევ უფრო დატვირთვას არ ვაპირებო.

*"რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, რომ სეზონი პირველი ჩოგნის რანგში დავასრულო, მაგრამ ახლა ამაზე არ ვფიქრობ. ამ სეზონში, აშშ-ის ღიას გარდა, მასტერსის კიდევ ორ ტურნირზე - მადრიდსა და პარიზში გამოვალ. სხვა ტურნირებიდან ბანგკოკში ვაპირებ ასპარეზობას, მაგრამ ამაზე მეტ თამაშს არ ვაპირებ. პირველი ჩოგნობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირები მონრეალის, ცინცინატის, მადრიდისა და პარიზის მასტერსები, ასევე აშშ-ის ღიაა. ვეცდები, ამ ტურნირებზე შარშანდელზე უკეთ ვითამაშო. ჯერჯერობით, ეს გამომდის. რა იქნება მერე, ვნახოთ"*, - ცინცინატის ტურნირის წინ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა ნადალმა.

ესპანელ ჩოგბურთელს ამ სეზონში ექვსი ტურნირი აქვს მოგებული, ორით მეტი, ვიდრე ფედერერს. შესაბამისად, ის ჩემპიონთა რბოლის ცხრილში ლიდერია (ამ ცხრილში შედის ჩოგბურთელის მიერ ერთი სეზონის 18 ტურნირზე ნაჩვენები საუკეთესო შედეგები). ამის მიუხედავად, ნადალი თვლის, რომ რეიტინგში ფედერერის გასწრება ძალიან ძნელი იქნება. თანაც, ეს მარტო ესპანელის კარგ შედეგებზე არაა დამოკიდებული. ამისათვის, ნადალის გამარჯვებათა პარალელურად, შვეიცარიელი რამდენიმე ტურნირს ადრეულ ფაზაში უნდა გამოეთიშოს.

ნადალმა ამ სეზონში ზედიზედ მესამედ მოიგო საფრანგეთის ღია და ზედიზედ მეორედ, უიმბლდონის ფინალში ითამაშა. თუმცა თავად თვლის, რომ შარშანდელზე გაცილებით უკეთ თამაშობს.

*"ახლა ბევრად უკეთ ვაწოდებ და გაცილებით აგრესიულად ვთამაშობ. თიხაზეც კი შემტევ სტილში ვთამაშობდი. ბადესთანაც უფრო ხშირად გავდივარ და შესაბამისად, ქულების მოპოვების მეტი შანსიც მეძლევა. თანაც, კორტზე უფრო ნაკლებ დროს ვატარებ. ესე იგი, თამაშებს უფრო სწრაფად ვიგებ. მთლიანობაში კი ყველაფერი გაუმჯობესებაზე მოქმედებს. ჩემი მიზანიც ესაა - წინანდელზე უკეთ თამაში"*, - ამბობს ნადალი, ვინც ცინცინატის ტურნირზე გამოსვლას მეორე წრიდან, თანამემამულე **ფელისიანო ლოპესთან** შეხვედრით დღეს იწყებს.

სხვათა შორის, ფედერერი ახალი მწვრთნელის მოძებნას არ ჩქარობს. სამი თვის წინათ რომ **ტონი როშეს** დაშორდა, იმის შემდეგ ის უმწვრთნელოდ თამაშობს, თუმცა ეს მის შედეგებზე სულაც არ აისახება - საფრანგეთის ღიაზე ზედიზედ მეორედ მიაღწია ფინალს, უიმბლდონი კი ზედიზედ მეხუთედ მოიგო.

ცინცინატიში მოწყობილ პრესკონფერენციაზე ფედერერმა განაცხადა, რომ ახალი მწვრთნელის თაობაზე ჯერაც არ უფიქრია. უფრო მეტიც, განაცხადა, რომ შესაძლოა, კარიერის ბოლომდე მარტომ ივარჯიშოს.

*"ამ კითხვას საკუთარ თავს მეც ხშირად ვუსვამ - რა მსურს? მჭირდება ვინმე, ვინც ბურთებს მომაწვდის, რჩევებს მომცემს და ჩემთან ერთად იმოგზაურებს ტურნირებზე? მართალი გითხრათ, ამაში დარწმუნებული არ ვარ. თანაც, ამ ეტაპზე, უმწვრთნელოდ თამაშით კმაყოფილი ვარ"*, - ამბობს ფედერერი, ვინც კვირას მონრეალის მასტერსის ფინალი სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** წააგო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



რაფაელ ნადალი

ტურნირები

## ATP

### ცინცინატი მასტერსი

ცინცინატი (აშშ, ოჰაიო).
მასტერსის სერია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 2 450 000 დოლარი

#### პირველი წრე

**ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-ალეხანდრო ფალა (კოლუ) 7:6(5), 6:1; **მარიო ანჩიჩი (ხორვ)**-ტომი ჰაასი (გერ, 12) 3:6, 7:6(3), 6:3; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-ენდი მარეი (ბრიტ, 14) 6:1, 6:2; **ხუან მარტინ დელ პორტო (არგ)**-გილერმო კანიასი (არგ, 15) 6:2, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-ოლივიე როხუსი (ბელგ) 6:1, 3:6, 7:5; **ჟულიან ბენეტიუ (საფ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:4, 3:6, 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-აგუსტინ კალერი (არგ) 7:6(2), 2:6, 7:6(7); **რობი გინეპრი (აშშ)**-იონას ბიორკმანი (შვედ) 6:3, 6:3; **არნო კლემანი (საფ)**-პოლ-ანრი მატიო (საფ) 6:4, 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეი) 7:5, 3:6, 7:6(5); **ხუან მონაკო (არგ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:4, 6:7(5), 6:3; **რადეკ სტეპანეკი (ჩეხ)**-მერდი ფიში (აშშ) 7:5, 7:6(3)

#### მეორე წრე

**ენდი როდიკი (აშშ, 3)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 7:6(3), 6:2; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ტომი რობრედო (ესპ, 7) 6:4, 6:1

## WTA

### როჯერს კაპი

ტორონტო (კანადა)
პირველი კატეგორია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

#### პირველი წრე

**სიბილ ბამერი (ავსტ, 13)**-ემილი ლუა (საფ) 6:1, 6:2; **მარია ელენა კამერინი (იტა)**-ალონა ბონდარენკო (უკრ, 15) 6:4, 6:3; **ვირჟინი რასანო (საფ)**-არავან რეზაი (საფ) 6:4, 4:6, 6:3; **სტეფანი დუბუა (კან)**-აი სუგიამა (იაპ) 6:7(5), 6:4, 7:5; **მარი-ივ პელეტიე (კან)**-ეკატერინა შულაევა (კან) 5:7, 6:4, 6:2; **ანდრეია კლეპაჩი (სლოვ)**-მეილენ ტიუ (აშშ) 6:3, 6:1; **ელენი დანიილიდუ (საბ)**-ხისელა დულკო (არგ) 6:2, 6:3; **მარია კირილენკო (რუს)**-მარტინა მიულერი (გერ) 6:1, 6:3; **ნატალი დეში (საფ)**-ემანუელე გალიარდი (შვეი) 6:4, 7:5; **მეგან შონესი (აშშ)**-მარა სანტანჯელო (იტა) 6:4, 7:6(3); **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:4, 5:0 როდიონოვას ტრავმა

#### მეორე წრე

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:2, 7:6(7); **შაჰარ პეერი (ისრ, 11)**-ტატიანა გარბინი (იტა) 6:3, 6:2; **შუაი პენი (ჩინ)**-კატარინა სრებოტნიკი (სლო, 14) 6:1, 4:2 სრებოტნიკის ტრავმა


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაგაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კობა ხატისაშვილი**
**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიბილაშვილი**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე),
**გივი ვეშაპიძე,**
**ქეთევან დიდბერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**ბაქარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
**მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 64-76)
**ერემო მახათაძე** (1952-53)
**ირაკლი უგულავა** (1953-64)
**ანზორ ბასილაია** (1976-83)
**არჩილ გოგელია** (1984-85)
**თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

მისამართი
**ახმეტელის 10ა,**
**0159 თბილისი**
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
**ტელეფონი:** 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
**ფაქსი:** +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა**